# სარბიელი

სპორტული გაზეთი — პარასკევი 17 მაისი 2002 №88 (1610) — ფასი 50 თეთრი


**2** თბილისის „დინამოში“ ენტონი იებოა მივიდა

შუშაკი მას დღეს გამოცდის

**3** საფრანგეთიდან ეროვნულს ვქომაგობ



გურულმა თავისთვის ჩივაძე აირჩია

**8** ვან გაალი ვაჟკაცობით იწყებს

ბარსელონა მანჩესტერს და არსენალს ჰოლანდიელებს შეეცილება

**12** ხოშტარია დინამოს კოშმარია

ბასკომ შაბათამდე უნდა მოიცადოს: სტუ თუ „დინამო“

**14** ჰინგისი ექიმთა განაჩენს ელის



მარტინას ფეხები გაუცვდა?

# თასი ცხრა, სიხარული ზღვა
# მადრიდი რეალს ფეხზე დაუდგა

მადრიდელმა მოქალაქეებმა გუშინ უგრძესი ცოცხალი ჯაჭვი შეკრეს და „ბარახასის“ აეროპორტიდან სიბელესის მოედნამდე გაჭიმეს. არც კომპარტიის ლიდერი ჩადიოდა მოსკოვიდან და არც ხალხი იყო ძალით გაყრილი ქუჩებში, „რეალის“ შინ დაბრუნებას მადრიდელი მოქალაქეები ალალი სიხარულით დახვდნენ. „რეალმა“ მოტოციკლეტისტთა ესკორტის თანხლებით და ცხადია, გადაჭრილი ავტობუსით, ქალაქის ქუჩებში ჩაიარა და ჩემპიონთა თასი გამოფინა. ამავე გუნდმა, იგივე თასი, იმავე გლაზგოდან სიბელესის მოედანზე 1960 წელსაც ჩაიტანა, ოღონდ ხალხი იყო სხვა, დი სტეფანო, პუშკაში და ხენტო რაულმა, ზიდანმა, იერომ და სხვებმა შეცვალეს. 1960 წელი კი გლაზგოური ფინალის გახსენების გამო ვახსენეთ, თორემ „რეალს“ ამგვარი დახვედრა უკვე მერვედ მოუწყვეს. ერთხელაც თასს ჩამოტანა არ დასჭირდა, 1957-ში იქვე, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მოიგო. ერთი სიტყვით, მადრიდში ყველაფერი ძველებურადაა, მხოლოდ თაობები და თასების რაოდენობა იცვლება.



REUTERS მადრიდიდან

# თბილისის დინამოში ენტონი იებოა მივიდა

## ივო შუშაკი მას პირველად დღეს გამოცდის

**მართლაც** ასეა საქმე — საქართველოს ათგზის ჩემპიონებს გუშინ დილმის ბაზაზე განელმა ფეხბურთელმა ენტონი იებოამ მიაკითხა. ოღონდ ეგაა, რომ დინამოელთა სტუმარი ის ენტონი იებოა სულაც არაა, ამ ცოტა ხნის წინათ ბუნდესლიგური გუნდების მცველებს შიშის ზარს რომ სცემდა.

თბილისში ჩამოსული იებოა 25 წლის გახლავთ. ამპლუით ნახევარმცველია, თუმც გუშინ დინამოელებს ისიც უთხრა, თავდასხმაში თამაშიც მეხერხებაო. ეს განელი ფეხბურთელი აქამდე გერმანიის რეგიონალლიგაში ბურთაობდა, ახლა კი თბილისის „დინამოში" სწადია ჩარიცხვა.

დინამოელთა ხორვატი დამრიგებელი ივო შუშაკი პირად საქმეებზე ორი დღით სამშობლოში გახლდათ და გუშინ საღამოს დაბრუნდა თბილისში. დღეს შუშაკი მორიგ ვარჯიშს ჩაატარებს, რომლის დროსაც პირველად მიეცემა საშუალება საქმეში იხილოს ენტონი იებოა II — ამ განელის გადინამოელების საკითხი ხომ ყველაზე უფრო ივო შუშაკის კომპეტენციაა.

**დავით თავართქილაძე**

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# შვეიცარია კიდევ თუ წაიქცა, იაკობი ვერ ადგება

**შვეიცარია**

**შვეიცარია 1:3 კანადა**

0:1 რაძინსკი (20), 0:2 სტალტერი (38), 0:3 რაძინსკი (47), 1:3 ნკუფო (80)

**შვეიცარია:** ცუბერბიულერი (ბორერი 46), ჰაასი (ცელვეგერი 46), ანშო, მ. იაკინი (ცვიხიგი 63), ფურნიე, ლონფატი (დი ჯორჯიო 46), მიულერი (კანტალუპო 46), ვიკი, ლომბარდო (ხუსა 59), ნკუფო, ჰ. იაკინი

**მწვრთნელი:** იაკობ კუნი

**კანადა:** ჰირშფელდი, ფლეტჩერი (მოზნიაკი 60), ფენვიკი (კლარკი 63), დე ვოსი, ჰასტინგსი, წადლივა, იმპოფი, სტალტერი (დე გუზმანი 80), ნეში, რაძინსკი, დე როსარიო

**მსაჯი:** კონრად პლაუცი (ავსტრია)

4 000 მაყურებელი

**ასე თუ** გააგრძელა იაკობ კუნმა, შესაძლოა, მის გარეშე დაუპირისპირდეს შვეიცარიის ნაკრები ქართველებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. კუნის თავკაცობით შვეიცარიელებმა მორიგი საკონტროლო მატჩი დათმეს, თანაც შინ. სენტ გალენში მასპინძლებმა 4 000 ქომაგის თვალწინ ვერაფერი მოუხერხეს რაძინსკიან კანადას. ოკეანისგაღმელებმა ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაჩაგრეს მეტოქე. რაძინსკის და ვერდერელ სტალტერს ყველაფერი გამოსდიოდათ მოედანზე. ამათმა გოლებმა მასპინძლებს პირველ ტაიმშივე მოუმთავრა საქმე.

მეორე ნახევარი გახურებულიც არ იყო, რაძინსკიმ ანგარიში რომ გაასამა და ნკუფოს ნაგვიანევი საპასუხო გოლი ბევრად ვერაფრით შეეწია ჩვენს მომავალ მეტოქეს.

იაკობ კუნმა ყველა სასურველი ფეხბურთელი ათამაშა, მაგრამ მაინც წააგო. კანადელებთან შინ წასაგები რა გვჭირდაო, აბობოქრდნენ შვეიცარიელი მედიელები და მთავარ მწვრთნელს სიფხიზლისკენ მოუწოდებენ — ემანდ, კიდევ თუ დაგცდენია ფეხი, რაც მოგივა, შენ თავს დააბრალეო.

**ბაატა კვანტალიანი**



შვეიცარიის ნაკრებმა გამარჯვების გემო თუ არ გაიხსენა, იაკობ კუნს (შუაში) კარისკენ მიუთითებენ


**იყიდება**

გაზ–2107 თეთრი ფერის,

1990 წელს გამოშვებული,

კარგ მდგომარეობაში.

ტელ: 39-48-29 (11.00 19.00);
69-89-56 (საღამოს)
კახა










გიორგი დეკანოსიძის თამაშით „ფიურტის" ქომაგები კმაყოფილნი დარჩნენ

# დეკანოსიძეს შვებულება მიუნხენით შეუმცირეს

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველის გიორგი დეკანოსიძის „ფიურტს" წლეულს ერთი ამოსუნთქვა დააკლდა სანუკვარი მიზნის მისაღწევად. ჰოგენ ჰახის გუნდს მეორე ბუნდესლიგის ბოლო ტურამდე ჰქონდა უმაღლეს ეშელონში ანაცვლების შანსი, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში „ჰანოვერს", „არმინიას" და „ბოხუმს" დააჩაგვრინა თავი. მიუხედავად ამისა, კლუბის ხელმძღვანელებს სასაყვედურო არაფერი დასცდენიათ, გულშემატკივრებიც გაგებით მოეკიდნენ მომხდარს, ის კი არა, „ჰანოვერთან" ბოლო ტურის მატჩში „ფიურტმა" შინ რომ 1:5 წააგო, ერთგულების დამამტკიცებელი ლოზუნგებიც გადმოუფინეს გუნდს. მიზანს ახალ სეზონში მივაღწევთო, თქვეს ფიურტელებმა და ამთავითვე დაიჭირეს თადარიგი. გიორგი დეკანოსიძე სხვებთან ერთად ახალი სეზონისთვის მზადებას 5 ივლისს შეუდგება, გუნდი ავსტრიაში გაემგზავრება ორკვირიან შეკრებაზე. იქიდან დაბრუნებული კი სამშობლოში საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას — ამის შესახებ თავად გიორგიმ გვითხრა გუშინდელი სატელეფონო საუბრისას.

„ფიურტი" ექსმა ფეხბურთელმა დატოვა, აქედან ორი ლეგიონერია — ავსტრიელი და ბერძენი ნახევარმცველები. ორ ლეგიონერსაც გადაწყვეტილი აქვს გუნდის დატოვება. მიზეზი ფინანსური პრობლემებია, დღეს მეტ-ნაკლებად ორივე ბუნდესლიგის გუნდებს რომ მოსძალებია. ოლიგარქ ლეო კირხის გაკოტრებამ შოკში და კრიზისში ჩააგდო ბუნდესგუნდები. დეკანოსიძის თქმით, სხვა თანალიგელებთან შედარებით „ფიურტი" კიდევ კარგადაა, რადგან ზოგს უსახსრობის გამო რეგიონალლიგაში ჩაქვეითება ემუქრება.

„ჩვენ გადავრჩით, კლუბის მესვეურთა საზრიანობის წყალობით საგანგაშო არაფერი გვჭირს, კირხის გაკოტრებით ზოგი მეორებუნდესლიგელი მომავალ სეზონში რეგიონალლიგაში ითამაშებს, დროულად თუ ვერ შეძლეს მყარი ფინანსური გარანტიების შექმნა" — გვითხრა დეკანოსიძემ.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ „ფიურტი" შვებულებამდე რამდენიმე დღე ჯერაც ივარჯიშებს, მერე კი ფეხბურთელებს დროებით დაითხოვენ, მაგრამ გიორგი დეკანოსიძეს შვებულების დღეები შეუმცირდება, რადგან კლუბი მასთან ერთად რამდენიმე ფეხბურთელის გაშვებას აპირებს მიუნხენში, სპეციალურ სავარჯიშო კურსებზე, სადაც ფეხბურთელებს სისწრაფის კოორდინაციასა და გამძლეობაზე წაამეცადინებენ.

**ბაატა კვანტალიანი**



REUTERS

ირლანდია — ნიგერია. რობი კინს (№10) ისააკ ოკორონკვომ ბურთისკენ გზა გადაუღობა


**საფეხბურთო კლუბი „პრემა"**

**აცხადებს**

1984-1985 წლებში დაბადებული ფეხბურთელების მიღებას (რეგიონული ლიგა)

ფეხბურთელების შერჩევა მოხდება ტესტირების მეთოდით. განცხადებების მიღება იწარმოებს 15 მაისიდან ყოველდღე (კვირის გარდა) 12[00]-14[00] და 15[00]-17[00] ამ.წ. 16 ივნისამდე.

ტესტების ჩაბარება ფიზიკურ მომზადებაში დაიწყება ყოველ კვირა დღეს დილის 10 სთ-ზე. დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პრ. №49ა, მძლეოსნობის მანეჟი, მე-2 სართული, ოთახი 6 (ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონის უკან).

საფეხბურთო კლუბ „პრემას" ადმინისტრაცია


**დანია**

სუპერლიგა. XXXIII ტური

ოლბორგი 2:4 კოპენჰაგენი

აკადემისკი 4:3 ოდენსე

მიდტიულანდი 3:1 ვიბორგი

ორჰუსი 4:0 სილკებორგი

ბრონდბიუ 2:0 ლინგბიუ

ვაილე 2:0 ესბიერგი

**ნორვეგია**

VIII ტური

ბრანი 1:2 ბრინი

ლინი 3:1 ბოდიო გლიმტი

მოლდე 5:1 მოსი

ოდ გრენლანდი 4:2 სოგნდალი

რუზენბორგი 4:2 სტარტი

ვიკინგი 3:3 სტაბეკი

ლილესტრიომი 1:1 ვოლერენგა

**ჰოლანდია**

გადასასვლელი პლეი ოფი

B ჯგუფი. III ტური

დენ ჰააგი 1:2 ექსელსიორი

ვოლენდამი 1:3 სპარტა

**ამხანაგური მატჩები**

სამხრეთ კორეა 4:1 შოტლანდია

ჩილეთი 0:2 ურუგვაი

ირლანდია 1:2 ნიგერია

**ფინეთი**

V ტური

ჰიკ 4:1 ჰააკენლინა

**ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი**

B ჯგუფი. I ტური

საფრანგეთი 2:0 ჩეხეთი

საბერძნეთი 1:2 ბელგია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბუნდესლიგისა არ იყოს, ინგლისური პრემიერლიგაც უქართველოდ დარჩა. ლონდონის „ჩელსის" წევრად რატი ალექსიძე დღემდე კი ითვლება, მაგრამ წლეულს მას ძირითადში ერთხელაც არ უთამაშია და აბა, როგორ ვთქვათ, ინგლისის უძლიერესებს ჩვენებური მაინც შემორჩაო.

გაზაფხულამდე გიორგი ქინქლაძესაც ენატრებოდა პრემიერლიგა, იშვიათად და ისიც შემცვლელად თამაშობდა „დერბის" ქართველი გამთამაშებელი, თუმც მერე, გუნდის მწვრთნელის ცვლილებასთან ერთად, მან ნელ-ნელა დაიბრუნა ადგილი ძირითადში და ბოლო ხანს მატჩი არ გამოუტოვებია. საბოლოოოდ „დერბის" ვერც ახალმა თავკაცმა ჯონ გრეგორიმ უშველა, ვერც ჩვენიანის ათამაშებამ და ისე მოხდა, ქინქლაძე გუნდთან ერთად პრემიერლიგიდან მეორედ გავარდა.

ადრე, მოგეხსენებათ, ქართველი ნახევარმცველი „სიტის" პირველ დივიზიონში გადაჰყვა, საიდანაც მეორეშიც დაქვეითდა და ერთი სეზონი იქ გაატარა. ამჯერად კი გიორგი ქინქლაძე პირველ დივიზიონში დაბრუნებას აღარ აპირებს და უახლოეს ხანს „დერბიდან" გათავისუფლებას ელის, ყოველ შემთხვევაში...



გიორგი ქინქლაძე (მარცხნივ) პრემიერლიგას ვერ შელევია

# გიო დამშვიდდა

## ქინქლაძე მიდის მითხარ სად, სად, სად...

— გუნდის მწვრთნელ ჯონ გრეგორის უკვე ვესაუბრე და შევთანხმდით, რომ „დერბის" დავტოვებ — გვითხრა გიორგი ქინქლაძემ, როცა ინგლისში დავუკავშირდით — პრობლემას არ შეგიქმნითო, დამშვიდდა მწვრთნელმა და კეთილი სურვილებით დავშორდით ერთმანეთს. ახლა აგენტი ჩემთვის ახალ კლუბს ეძებს.

**— რამდენ ხანში მოძებნის?**

— ვიმედოვნებ, ახლო მომავალში, გუნდები ივლისის დასაწყისში იკრიბებიან და იქამდე, ალბათ, შეცოდინება, კარიერას სად გავაგრძელებ.

**— მაინც, დღესდღეობით რომელი გუნდები არიან შენით დაინტერესებულნი?**

— არ ვიცი.

**— არ იცი, თუ არ ამბობ?**

— არა, ნამდვილად არ ვიცი. ჯერ-ჯერობით აგენტი არაფერს მეუბნება. რაიმე სერიოზული წინადადება რომ იყოს, რატომ დამიმალავდა.

**— ქინქლაძეს თურქული „გალათასარაი" იწვევსო, მართალია?**

— დიახ, ითქვა ამის თაობაზე, თუმც არც მე, არც აგენტს თურქებისგან არაფერი გვსმენია. ინგლისურ პრესაში კი იყო რამდენიმე ინფორმაცია, თურქები ადასტურებდნენ, რომ ჩემი შეძენა სურთ.

**— შენ თუ გსურს თურქეთში თამაში?**

— რა ვიცი, ვნახოთ. ყოველ შემთხვევაში, „გალათასარაი" ჯერ არ დამკავშირებია.

**— გამორიცხულია, პრემიერლიგაში დაბრუნებულ „სიტიში" აღმოჩნდე?**

— გამორიცხული არ არის, მაგრამ რეალურიც არაფერია.

**— ახლა ისვენებ?**

— კი, „დერბი" შვებულებაშია.

**— „დერბიში" დარჩენას არ ვაპირებო და რა მნიშვნელობა აქვს, გუნდი შვებულებაშია თუ არა?**

— „დერბის" კონტრაქტით კიდევ ერთი წელი ვეკუთვნი და ბიჭები რომ ვარჯიშობდნენ, მეც ვივარჯიშებდი. ცოტა ხანს კიდევ დავისვენებ და ერთ-ორ კვირაში ჩემთვის ვარჯიშს დავიწყებ.

**— შენს სანაცვლოდ „დერბი" სავარაუდოდ რამდენს მოითხოვს?**

— ამაზე კლუბები შეხვედრისას მოილაპარაკებენ, რა ვიცი, იქნებ კაპიკიც არ მოითხოვონ.

**— ინგლისში დარჩენის მეტი შანსი გაქვს თუ სხვა ქვეყანაში გადაბარგდები?**

— ამას ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, კარგი გუნდი იყოს, ევროთასებზე სათამაშოდ მებრძოლი.

**— თბილისში როდის ჩამოხვალ?**

— ჯერ არა, ინგლისში პირადი საქმეები მაქვს.

**ბონა ინასარიძე**



გურამ [illegible] ფოტო

*ვინც 80-ანი წლების თბილისის „დინამოს" მოსწრებიხართ, ესე იგი, ბევრი ნიჭიერი, მაგრამ ვერშემდგარი მაღალი დონის ფეხბურთელებიც გინახავთ...*

*თუმც მათ შორის ერთი ისეთიც გამოერია, ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ჩემპიონატი რომ დააჭაშნიკა. კახა ცხადაძეს რომ თავი გავანებოთ, ასეთი გია გურული გახლავთ. უძლიერესი დარტყმა ორივე ფეხით, ბრწყინვალე თამაში თავით, ბომბარდირული თვისებები და...*

*ახლა სარბიელზე გია გურულის ვაჟი, სანდრო გამოვიდა — დანიაში ახლახან ჩამთავრებულ 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე საფრანგეთში მცხოვრებმა სანდრო გურულმა საქართველოსთვის ითამაშა...*

*ჩვენ კი ამან მამამისის გურულობა გაგვახსენა. გია გურულს, ცხადია, ტელეფონით დავუკავშირდით საფრანგეთში და ქვემოთ მასთან ინტერვიუს გთავაზობთ...*

| გია გურული | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 20.05.64 | | | |
| 1981 | დინამო ბათუმი (სსრკ) | II ლიგა | | |
| 1982 | დინამო თბილისი (სსრკ) | უმ. ლიგა | 2 | – |
| 1983 | დინამო თბილისი (სსრკ) | | 16 | 2 |
| 1984 | დინამო თბილისი (სსრკ) | | 5 | – |
| 1985 | დინამო თბილისი (სსრკ) | | 16 | 2 |
| 1986 | დინამო თბილისი (სსრკ) | | 20 | 2 |
| 1987 | დინამო თბილისი (სსრკ) | | 21 | 4 |
| 1988 | დინამო თბილისი (სსრკ) | | 24 | 9 |
| 1989 | გურია ლანჩხუთი (სსრკ) | I ლიგა | 40 | 18 |
| 1990 | იბერია თბილისი | | 25 | 23 |
| 1990-91 | კატოვიცე (პოლონეთი) | I ლიგა | 7 | 1 |
| 1991-92 | კატოვიცე (პოლონეთი) | I ლიგა | 30 | 10 |
| 1992-93 | ლე ავრი (საფრანგეთი) | I დივიზიონი | 30 | 9 |
| 1993-94 | ლე ავრი (საფრანგეთი) | I დივიზიონი | 18 | 3 |
| 1994-95 | დიუნკერკი (საფრანგეთი) | II დივიზიონი | | |
| 1995-96 | დიუნკერკი (საფრანგეთი) | II დივიზიონი | | |
| 1996-97 | დიუნკერკი (საფრანგეთი) | III დივიზიონი | | |
| 1997-98 | დიუნკერკი (საფრანგეთი) | III დივიზიონი | | |

# საფრანგეთიდან დინამოს ვერ ვქომაგობ

## გურულმა თავისთვის ალექსანდრე ჩივაძე აირჩია

**— ფეხბურთელის კარიერის დამთავრების შემდეგ საფრანგეთს ვეღარ შეელიეთ. რას აკეთებთ მანდ, რას საქმიანობთ?**

— ვცხოვრობ ქალაქ ბულონში, საფრანგეთის ჩრდილოეთით. სამსახურს რაც შეეხება, თევზის ბიზნესში ვარ.

**— ფეხბურთს მთლიანად ჩამოსცილდით, აღარც მოყვარულთა დონეზე თამაში გზიბლავთ?**

— ფეხბურთთან უკვე აღარაფერი მაკავშირებს. გასართობად რომ ვითამაშო, მაგის დროც არ მაქვს.

**— თქვენი ვაჟი როგორ მოხვდა საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებში?**

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მეგობრები მყავს და მათთან სატელეფონო საუბარში ხუმრობით ვთქვი, ჩემი ბიჭიც ფეხბურთელია და საქართველოს ნაკრებში როგორ არ უნდა ითამაშოს-მეთქი. პასუხად კი მითხრეს, 17-წლამდელთა ნაკრებისთვის გასინჯავთო და მე და ჩემი ვაჟიც ბულონიდან ჩავედით ესპანეთში — იქ სანდრო ნაკრების მწვრთნელებმა გასინჯეს და დაიტოვეს.

**— რომელ კლუბში თამაშობს სანდრო გურული?**

— „ბულონი" საფრანგეთის ჩემპიონატის მესამედივიზიონელია და ჩემი ვაჟი ამ კლუბის იუნიორთა გუნდის წევრია.

**— თქვენ „დიუნკერკში" დაამთავრეთ კარიერა, მანამდე კი კიდევ ორ უცხოურ გუნდში გითამაშიათ. იქნებ გაიხსენოთ, როგორ აღმოჩნდით „კატოვიციდან" „ლე ავრში".**

— პოლონეთში ფრანგი სკაუტები იყვნენ ჩამოსულები და რომ შემამჩნიეს, მკითხეს, საფრანგეთში თამაში თუ გაინტერესებსო და მეც თავი დავუკარი. „ლე ავრი" მაშინ მე-7 ადგილზე იყო. როცა ამ გუნდში მივედი, კონტრაქტი გაფორმებული არ მქონდა, თავისებური ტესტ-მატჩი ლიგის თასის მეოთხედფინალში მქონდა და თამაშის დამთავრებისთანავე, იმავე საღამოს კონტრაქტს მოვაწერე ხელი. „კატოვიცეში" ხელშეკრულების თანახმად კიდევ ერთ სეზონს უნდა მეთამაშა, მაგრამ პოლონური კლუბის პრეზიდენტმა საფრანგეთში გადასვლაში ხელი არ შემიშალა.

**— პირველი ფრანგული სეზონი, შეიძლება ითქვას, წარმატებით ჩაატარეთ — ცხრა გოლი ურიგო შედეგი არ არის, თანაც უკანდახეულ ფორვარდად თამაშობდით, მაგრამ მერე...**

— მერე გუნდის მთავარი მწვრთნელი შეიცვალა და მან, ასე ვთქვათ, თავისი ხალხი მოიყვანა. მე უკვე იშვიათად მიწევდა ძირითადში თამაში. კლუბის პრეზიდენტმა მაინც შემომთავაზა კიდევ ერთი წლით დარჩენა „ლე ავრში", მაგრამ ვიუარე, სკამზე ჯდომას ქვედა დივიზიონის გუნდში თამაში ვარჩიე. თანაც ამ გადაწყვეტილების მიღებამდე საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში კუნთი გავიწყვიტე და ამ პრობლემამაც გავლენა მოახდინა ჩემს გადაწყვეტილებაზე.

**— მერედა გული არ დაგწყდათ?**

— კი, მაგრამ რა გაეწყობოდა. არადა, მაშინ საფრანგეთის პირველ დივიზიონში ხომ დიდი ფეხბურთელები თამაშობდნენ — კლინსმანი, ფიოლერი, შიფო, ჯორკაეფი, ვეა...

**— რატომ არჩიეთ საცხოვრებლად საფრანგეთში დარჩენა, რატომ არ დაბრუნდით სამშობლოში?**

— იძულებული გავხდი, საფრანგეთში დავრჩენილიყავი. ბავშვები უკვე ფრანგულ სკოლაში სწავლობდნენ და საქართველოში ძალიან გაუჭირდებოდათ. თანაც აქ საქართველოს ტელევიზიის პირველ არხს ვუყურებ და ისედაც ხომ ვიცი, რა სიტუაციაა თქვენთან.

**— ბულონში ქართველები, ალბათ, ძალიან ცოტანი ხართ?**

— ჩვენი ოჯახის გარდა, აქ ქართველი არავინაა.

**— საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე გადავერთოთ. ჩვენთვის პირველი შესარჩევი ციკლის პირველივე მატჩში მოლდოვას წინააღმდეგ პირველი ტაიმი ითამაშეთ, მომდევნო შეხვედრაში ბულგარეთთან კი ბოლო 15 წუთი და მას მერე ეროვნულ გუნდში აღარ მიუწვევიხართ. რა მოხდა თქვენს და ალექსანდრე ჩივაძეს შორის?**

— უბრალოდ, ვიგრძენი, რომ 33-34 წლის კაცი ძველებურად ვეღარ შევძლებდი თამაშს და ჩივაძეს ამის შესახებ დაველაპარაკე. ჩვენ ხომ „დინამოში" ერთად ვთამაშობდით და მე მას მაშინ უფროს მეგობრად მივიჩნევდი. მერედაც მეგობრებად დავრჩით. ხოლო როცა ვუთხარი, ასაკის გამო ნაკრებში მაღალ დონეზე თამაში გამიჭირდება და ჩემს ჩამოსვლა-წასვლაში კი ფული დაიხარჯება-მეთქი, საშას აღარ დაუძალებია.

**— გოჩა გოგრიჭიანი თქვენი კბილაა, მაგრამ იმ ციკლშიც ითამაშა და მომდევნოშიც...**

— ყველას თავის შეხედულება აქვს. მე ვამჯობინე, წამოვსულიყავი ნაკრებიდან.

**— როგორ ფიქრობთ, დღესდღეობით ვინ არის საქართველოს საუკეთესო ფორვარდი?**

— სიმართლე გითხრათ, ყველა ქართველი ლეგიონერის თამაშს დიდი ყურადღებით და ინტენსივობით ვერ ვადევნებ თვალს, მაგრამ რასაც ვუყურებ, ყველაზე ძლიერი ქართველი ფორვარდი შოთა არველაძეა.

**— ჩვენი ეროვნული ჩემპიონატით თუ ინტერესდებით?**

— რა თქმა უნდა, და ამაში პირველი არხი ძალიან მეხმარება. ვიცი, რომ ოთხშაბათს „ტორპედო" „დინამოს" მასპინძლობს და ჩემპიონის ბედსაც, ალბათ, ეს მატჩი გადაწყვეტს.

**— „დინამოს" გულშემატკივრობთ?**

— „დინამო" ყოველთვის ჩემი ოცნების გუნდი იყო, მაგრამ ახლა ხომ საფრანგეთში ვარ და აქედან ყველა ქართულ გუნდს, ლამაზ ფეხბურთს ვგულშემატკივრობ. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს, ასე ვთქვათ, საერთო ჯამში ვქომაგობ. აი, საქართველოში რომ ვიყო, მაშინ მხოლოდ „დინამოს" ვუქომაგებდი.

**— ბარემ ისიც გვითხარით, თავის დროზე თავით თამაშში და ძლიერ დარტყმებში როგორ გაიწაფეთ?**

— თბილისის „დინამოში" რომ მივედი, მაშინ ალექსანდრე ჩივაძე ისე აიწეოდა ხოლმე ჰაერში და დაჰკრავდა ბურთს თავს, რომ სწორედ მას ვთხოვე, ვარჯიშის შემდეგ მინდორზე დარჩენილიყო და თავით თამაშში გამეცვიწრებოდა. რაც შეეხება დარტყმებს, ჯანმრთელი ბავშვი ვიყავი, ძალა მერჩოდა. ხოლო „დინამოში", როცა დარტყმების დასახვეწად ვარჯიშის შემდეგ მე და მალხაზ არზიანი ვრჩებოდით, ოთარ გაბელია კარში ჩადგომაზე უარს ამბობდა. ისიც უნდა ვთქვა, რომ როგორც ფორვარდმა რამაზ შენგელიასგან ბევრი ვისწავლე.

**— თქვენს საფეხბურთო კარიერაზე გული გწყდებათ?**

— არა, გული რაზე უნდა დამწყდეს?! თუ ნიჭი გქონდა და კარგად ვერ ითამაშე, არ უნდა დაიწუწუნო. ყველაფერი ღვთის ნებით ხდება. თუ მონდომებული ხარ, ამას ღმერთი ხედავს და აუცილებლად დაგეხმარება. რა თქმა უნდა, იღბლის ფაქტორიც არის, შეიძლება, იმაზეც დაიჩივლო, რომ ესა თუ ის მწვრთნელი ძირითადში თუ შენს პოზიციაზე არ გათამაშებდა, მაგრამ...

**— მაინც როდის აპირებთ საქართველოში დაბრუნებას?**

— სამი-ოთხი წელი კიდევ უნდა მოვიცადო, მერე კი ვნახოთ. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირი გავხდი მამუკა ფანცულაიასთან ერთად. მამუკამ საგანგებო პრიზი მიიღო, მე კი ვერა, რადგან საქართველოდან უკვე წამოსული ვიყავი. კუთვნილი პრიზი, თანაც პირველივე ეროვნულ ჩემპიონატისა, პატარა ამბავი ხომ არ არის...

**დავით თაფართქილაძე**

თუ ვინმე არის ქართული ფეხბურთის ამაგდარი, მათ შორის ერთ-ერთი ოთხმოცს მიტანებული ზაქრო თელიაცაა. საქართველოს სპორტული მედიცინის ფედერაციის პრეზიდიუმის საპატიო თავმჯდომარე, ფიზალზრდისა და სპორტის აკადემიის საბჭოს წევრი, ჯანდაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის სპორტული მედიცინის პანელის წევრი, სპორტული მედიცინისა და სამკურნალო ფიზკულტურის სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, ღირსების ორდენის კავალერი, პროფესორი ზაქრო თელია თითქმის 50 წელია, რაც თბილისის „დინამოს" გუნდის ექიმია.

დაგვეთანხმებით, ამ ხნის განმავლობაში ზაქრო თელიას თავს ბევრი საინტერესო და კურიოზული ამბებიც გადახდენია, რასაც „სარბიელთან" მისივე ნაუბარიდან შეიტყობთ. ბატონ ზაქროს მშობლიურად ქცეულ თბილისის „დინამოს" დილმის საწვრთნელ ბაზაზე ვესტუმრეთ.



ბუჩუკა ფირცხალაიშვილის ფოტო

# მსოფლიოს ჩემპიონს დოპინგიც გამოუყენებია

## თელიამ პელე, გოლცი და შუშაკი გაიხსენა

— თითქმის 50 წელია, რაც თბილისის „დინამოში" ვარ და, შემიძლია თამამად გითხრათ, ასეთი პირობები კლუბში დღემდე არ ყოფილა. თავი სიზმარში მგონია. ახლანდელი პირობები „დინამოში" საბჭოთა კავშირის დროსაც სანატრელი იყო.

**— ამ ხნის განმავლობაში ბევრ მწვრთნელთან მოგიწიათ მუშაობა, ვის გამოარჩევდით?**

— შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ივო შუშაკი ყველას მირჩევნია. მას უხვად აქვს მომადლებული პედაგოგისა და ფსიქოლოგის ნიჭი. ამასთან შუშაკი ბრწყინვალე პიროვნებაცაა. აქამდე უპირატესობას მიხაილ იაკუშინს ვანიჭებდი, მეორე ადგილზე კი გავრილ კაჩალინს ვაყენებდი, თუმც ახლა ივო შუშაკი პირველია.

ნოდარ ახალკაცზე იმის თქმა შემიძლია, რომ ძალიან ნიჭიერი კაცი იყო, თუმც მას სხვანაირი ხასიათი ჰქონდა. ფეხბურთელებს მისი ეშინოდათ. მწვრთნელსა და მოთამაშეებს შორის უფრო მეგობრული დამოკიდებულება უნდა იყოს. ზუსტად ისეთი, როგორიც ახლაა შუშაკსა და დინამოელებს შორის. ისიც სათქმელია, რომ „დინამომ" ყველაზე დიდ შედეგებს ნოდარ ახალკაცის პერიოდში მიაღწია, თუმც, ჩემი აზრით, უფრო მეტიც შეეძლოთ.

**— ცნობილი ფაქტია, რომ 1981 წლის თასების მფლობელთა თასის ფინალის წინა დღეს ალექსანდრე ჩივაძე ავად გახდა...**

— ზუსტად გეტყვით. ფინალის წინა დღეა, საშამ თავი შეუძლოდ იგრძნო. ტემპერატურა გავუზომე და 38,7 ჰქონდა. რა უნდა მექნა? მით უმეტეს, მაშინ ისე ვიყავით დაშინებულნი, აბების მიცემა ვერ გავბედე. ჰოდა, სასტუმროს ერთ-ერთ თანამშრომელ ქალს მოცვი ვთხოვე ჩემდა გასაოცრად, მან უმალ მომიტანა მოცვი და ჩაიც დავაყენეთ. საშას დავალევინე, მერე სპირტის მასაჟი გავუკეთე და სიცხემაც დაუკლო. მეორე დღეს კი მშვენივრად ითამაშა.

**— დაშინებულნი ვიყავითო, თქვით და ვინ გაშინებდათ?**

— დიუსელდორფში მოსკოვის გავლით უნდა გავფრენილიყავით. მაშინ ხომ სხვა ვარიანტი რეალურად არც არსებობდა. ჰოდა, მოსკოვში გაგვაფრთხილეს, დოპინგზე მკაცრად შეგამოწმებენ და რაიმე შეცდომა არ მოგივიდეთო. სწორედ ამიტომ არ დავალევინე ჩივაძეს აბები. ისე, დოპინგზე მართლაც ძალიან მკაცრად შეგვამოწმეს. თამაშის დამთავრებამდე წუთები იყო დარჩენილი, როცა ფეხბურთელების ნომრებით სავსე პატარა ყუთი მომიტანეს. მე უნდა ამომეღო იმ ყუთიდან ორი ფურცელი და რა ნომრებიც იქნებოდა, სწორედ ის ფეხბურთელები უნდა გასულიყვნენ დოპინგ-კონტროლზე. საბოლოოდ ეს „მისია" ნუკრი კაკილაშვილს და ვლადიმერ გუცაევს ერგოთ. თამაშის შემდეგ მათთან ერთად შევედით ოთახში, სადაც ფეხბურთელებს დოპინგ-კონტროლი უნდა გაევლოთ. კომისიაში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ. ერთ-ერთი კი ძალიან ალმაცერად გვიყურებდა და პროვოკაციაზე წამოგებას გვიპირებდა. მან მოგვიანებით იქვე მყოფს უთხრა, ნუკრი და ვოვა მეორე ოთახში გაეყვანა, სადაც ფეხბურთელებს უნდა მოეშარდათ. მაგრამ მე წინააღმდეგობა გავუწიე და მოვითხოვე ბიჭებს მეც გავყოლოდი. საბოლოოდ კომისიის სხვა წევრების მხარდაჭერით ასეც მოხდა. იქ კი გვარიანი ლოდინი მოგვიხდა. თამაშის შემდეგ ფეხბურთელებს მოშარდვა უჭირთ და გუცაევიც და კაკილაშვილიც ორი საათი მოუნდნენ 50 გრამი შარდის გამოყოფას. საბოლოოდ ყველაფერი კარგად დამთავრდა — ვერაფერი აღმოგვიჩინეს.

**— ცნობილია ისიც, ფეხბურთელები რომ წაიქცეოდნენ მოედანზე, ხალხი ემახდა — ჩქარა ადექი, თელია მოდისო...**

— კი, იყო ასეთი ფაქტი. ცხადია, ბევრჯერ წაქცეულან ფეხბურთელები და მოედანზე კოტრიალი დაუწყიათ, თუმც უმეტესად სიმულანტობდნენ. მაშინ მთავარი მსაჯის ნებართვა არ იყო აუცილებელი, მოედანზე ტრავმირებული ფეხბურთელის საშველად რომ შევსულიყავი. ეს წესი მოგვიანებით შემოიღეს. ჰოდა, ერთხელ მოსკოვის „დინამოს" ვეთამაშებით და ვაგებთ. მატჩის დამთავრებამდე დაახლოებით 15 წუთია დარჩენილი. ამ დროს კი გელა კეტაშვილი მოწინააღმდეგესთან ორთაბრძოლისას დაეცა და არ დგება. მეც სასწრაფოდ გავიქეცი მისკენ. მივედი და ვეუბნები, რა გტკივა-მეთქი. ამ დროს ზოგი ფეხბურთელიც მოგვიახლოვდა. გელა კი მეუბნება, ცოტა მაცალე, დავისვენოო. ამას თენგიზ სულაქველიძემ მოჰკრა ყური და ისეთი შეუცაცხანა, რომ...

1987 წელია და რუმინეთში „ვიქტორიას" ვეთამაშებით უეფას თასის მატჩში. ჩვენი ერთ-ერთი შეტევის დროს გია გურული უხერხულად დაეცა, მაგრამ მსაჯმა ყურადღება არ მიაქცია. რუმინელებმაც ბურთი ჩვენს ნახევარზე გადმოიტანეს და გვარიანად გვიტევენ. გია კი კვლავ მოედანზეა გაგორებული. მივირბინე მასთან და ვხედავ, გონება დაუკარგავს. ყოველ შემთხვევაში, ხმას არ მცემდა და თვალებიც დახუჭული ჰქონდა. რაღაც უნდა მეღონა, მაგრამ ამ დროს ერთ-ერთი რუმინელი ფეხბურთელი მომიახლოვდა და ხელი მკრა. მე შევეწინააღმდეგე და კვლავ გურულთან მივედი, თუმცა მან ისევ მკრა ხელი. ამდენი ვეღარ მოვითმინე და პირდაპირ „გოლცის წვრთილში" ჩავარტყი მუშტი. ის ჩაიკეცა და წაიქცა. ამას სხვა ფეხბურთელებმაც შეხედეს და მომცვივდნენ, ცემას მიპირებდნენ, მაგრამ გურული თურმე სრულიად უვნებელი ყოფილა. ალბათ, ისიც კეტაშვილის დარად „ისვენებდა". ჰოდა, გია წამოხტა ფეხზე და ძლივს გადამარჩინა. იქედან გასახდელში ჩამიყვანეს და თამაშის ბოლომდე არ გამოვსულვარ გარეთ. მერე უეფამ ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დამსაჯა.

**— კიდევ რა კურიოზს გაიხსენებთ?**

— არ ვიცი, რამდენად კარგად გამომივა, მაგრამ მაინც გეტყვით. ესპანეთში ვართ ტურნეზე და უელვას თასის ფინალში გავედით. ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ დამთავრდა. გამარჯვებული პენალტების სერიაშიც ვერ გამოვლინდა და ახლა პირველ გაფუჭებამდე უნდა დაარტყან თერთმეტმეტრიანები. აქვე გეტყვით, რომ სტადიონი იყო გიბრალტარის სრუტის სიახლოვეს. იქეთ კი უკვე ინგლისის საზღვარია. ბურთთან ცხონებული დავით ყიფიანი მივიდა და... წამის შემდეგ ბურთი ინგლისელი მესაზღვრეების ხელთ აღმოჩნდა. ასე წავაგეთ ეს ფინალი.

**— ზემოთ დოპინგი ახსენეთ და ადრეც ასეთი მკაცრი კონტროლი იყო?**

— კონტროლი კი იყო, მაგრამ მე ერთხელ გამოვიყენე დოპინგი, ოღონდ კალათბურთელებთან. თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდი სახალხო სპარტაკიადის ფინალში მაშინდელ ოთხგზის ჩემპიონებს, რიგელებს ხვდებოდნენ. ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა. ოვერტაიმებში კი ჩვენმა ბიჭებმა ზედმეტი პერსონალური ჯარიმები მიიღეს და მოედანზე მხოლოდ სამნი დარჩნენ. გამარჯვებული ოვერტაიმებშიც ვერ გამოვლინდა, თან ბიჭებსაც მეტი აღარ შეეძლოთ და... ამ დროს მეუბნებიან, რაც შეგიძლია, მიეციო. ჰოდა, მეც ავდექი და რაღაც აბები დავალევინე. საბოლოოდ იმ სამმა კაცმა თამაშიც მოიგო.

**— რომელი ფეხბურთელი მიგაჩნიათ ყველაზე უიღბლო პაციენტად თქვენს კარიერაში?**

— ასეთი ბევრი იყო. განსაკუთრებით გელა კეტაშვილი, ჯუმბერ ხასაია და ილია რუხაძე დატანჯეს ტრავმებმა. ასევე მძიმე ტრავმები გადაიტანეს ბორის პაიჭაძემ, მურთაზ ხურცილავამ, კახი ასათიანმა, დავით ყიფიანმა, ვლადიმერ ელოშვილმა და თამაზ კოსტავამ. ადრე ასეთი რთული ტრავმები უფრო ხშირი იყო. კარგად მახსოვს, რუსებთან თამაშისას როგორ ემახდნენ თავის ფეხბურთელებს მწვრთნელები: „უბეი, უბეი". ახლა კი მსაჯობა უფრო გამკაცრდა. ადრე ხომ ყვითელი ბარათებიც არ არსებობდა. სწორედ ასეთი ხისტი თამაშის გამო დაანება თამაშს თავი პელემ. მასზე ხომ ყოველ მატჩში ნადირობდნენ მეტოქეები.

**— უკვე 50 წელია, თბილისის „დინამოში" მუშაობთ...**

— ამით ძალიან ბედნიერი ვარ. მგონი, ერთ კლუბში გატარებული დროის მიხედვით მსოფლიოს ჩემპიონი ვარ. 1972 წელს სეზონი ახალი დამთავრებული იყო, როცა ფეხი მოვიტეხე და საავადმყოფოში ვიწექი. ამ მცირე პერიოდს თუ არ ჩავთვლით, დღე არ ყოფილა, აქ, ბაზაზე არ მოვსულიყავი. ყოველ დღე აქ ვარ და სანამ შემეძლება, ასე ვიქნები. ეს ჩემი მეორე სახლია.

**ქახა ზალამბერიძე**



ბუჩუკა ფირცხალაიშვილის ფოტო

2001 წლის 13 მაისი. დაშავებულ დავით მუჯირს, ცხადია, ზაქრო თელიამ უშველა

# ქუთაისში კარლო ხურციძე გაიხსენეს

**ამ დღეებში** ქუთაისში ცნობილი მწვრთნელის, ქართული ფეხბურთის დიდი მოამაგის კარლო ხურციძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ბავშვთა (1990 წელს დაბადებულთა) ტრადიციული რესპუბლიკური ტურნირი ჩატარდა. წლევანდელი შეჯიბრება ყველაზე წარმომადგენლობითი გახლდათ, მან 20 მონაწილეს მოუყარა თავი. მასპინძლებს კონკურენციას თბილისის (ორი), რუსთავის (ორი), ხობის, ამბროლაურის, წყალტუბოს, ბაღდათის (ორი), საჩხერის გუნდები უწევდნენ. სტუმართაგან საუკეთესო „რუსთავი 2000" გამოდგა, რომელმაც ნახევარფინალში ითამაშა. გადამწყვეტ მატჩში კი ერთმანეთს ქუთაისური „კოლხიდა" და „მართვე" დაუპირისპირდნენ. უშელავათო ბრძოლაში ავტოქარხნული კლუბის აღსაზრდელებმა იმარჯვეს (1:0) და ტურნირის მთავარი პრიზიც, ცხადია, „კოლხიდას" (მწვრთნელი დავით ცქიტიშვილი) გადაეცა. ორგანიზატორებმა სამახსოვრო საჩუქრებით წაახალისეს გამორჩეული მოთამაშეები.

**იუზა ქაციტაძე ქუთაისიდან**

საქართველოს ჩემპიონატი 13 პირველი ლიგა მეორე წრე

# 32 ტური

### აღმოსავლეთი

მესხეთი — მაუდი 1:2; აკადემია — ლიახვი 2:1; ცხუმი — მრეტები 7:1; თბილისი — ვიტ ჯორჯია 2 0:2; გორდა 2 — დინამო 3 2:2; ალაზანი — მცხეთა 0:0; ჯავახი — მერანი 3 0:3; ჭაბუკიანი — კრწანისი 2:0; ოლიმპიკი — ზოოვეტი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 31 | 23 | 6 | 2 | 69:13 | 75 |
| მაუდი | 31 | 21 | 5 | 5 | 61:25 | 68 |
| იბერია | 30 | 21 | 2 | 7 | 81:39 | 65 |
| ალაზანი | 30 | 19 | 4 | 7 | 64:28 | 61 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 30 | 17 | 7 | 6 | 68:28 | 58 |
| ოლიმპიკი | 29 | 16 | 6 | 7 | 62:31 | 54 |
| ჭაბუკიანი | 30 | 15 | 9 | 6 | 52:24 | 54 |
| ზოოვეტი | 29 | 17 | 2 | 10 | 57:34 | 53 |
| ცხუმი | 30 | 15 | 8 | 7 | 63:28 | 53 |
| მესხეთი | 30 | 14 | 2 | 14 | 40:43 | 44 |
| დინამო 3 | 31 | 11 | 8 | 12 | 46:39 | 41 |
| აკადემია | 30 | 11 | 8 | 11 | 42:43 | 41 |
| ლიახვი | 31 | 12 | 2 | 17 | 41:56 | 38 |
| გორდა 2 | 30 | 7 | 8 | 15 | 39:50 | 29 |
| კრწანისი | 30 | 8 | 4 | 18 | 37:63 | 28 |
| მერანი 3 | 31 | 5 | 4 | 22 | 22:79 | 19 |
| თბილისი | 30 | 4 | 6 | 20 | 34:88 | 18 |
| მრეტები | 31 | 2 | 6 | 23 | 26:67 | 12 |
| ჯავახი | 30 | 0 | 1 | 29 | 17:129 | 1 |

„ჯავახი" მოხსნილია ჩემპიონატიდან

### დასავლეთი

საპოვნელა — სამეგრელო 5:1; სოხუმი — სულორი 0:3; მერცხალი — გურია 2 4:0; ბათუმი 2 — მეტალურგი 2 0:0; ინტერი — ზუგდიდი 0:0; კოლხეთი 2 — ოკრიბა 0:1; სქური — ეგრისი 2:1; ჩიხურა — მაღაროელი 2:0; სალხინო — ლუკა 3:3; საირმე — გზები (მატჩზე არ გამოცხადდა არცერთი გუნდი — ორივეს წაგება 0:3 ჩაეთვალათ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 32 | 27 | 1 | 4 | 78:27 | 82 |
| მერცხალი | 30 | 23 | 4 | 3 | 65:16 | 73 |
| ზუგდიდი | 31 | 23 | 4 | 4 | 72:31 | 73 |
| საპოვნელა | 31 | 21 | 5 | 5 | 90:31 | 68 |
| მაღაროელი | 32 | 22 | 1 | 9 | 75:40 | 67 |
| გურია 2 | 31 | 16 | 4 | 11 | 66:39 | 52 |
| სალხინო | 32 | 14 | 3 | 15 | 54:57 | 45 |
| კოლხეთი 2 | 32 | 12 | 9 | 11 | 43:35 | 45 |
| ინტერი | 31 | 12 | 6 | 13 | 43:46 | 42 |
| სქური | 31 | 11 | 8 | 12 | 41:51 | 41 |
| ბათუმი 2 | 32 | 11 | 4 | 17 | 31:53 | 37 |
| საირმე | 32 | 11 | 3 | 18 | 34:48 | 36 |
| ჩიხურა | 30 | 11 | 3 | 16 | 34:60 | 36 |
| ეგრისი | 32 | 11 | 2 | 19 | 48:56 | 35 |
| გზები | 32 | 10 | 4 | 18 | 33:50 | 34 |
| ლუკა | 31 | 9 | 5 | 17 | 40:71 | 32 |
| მეტალურგი 2 | 31 | 8 | 6 | 17 | 35:53 | 30 |
| ოკრიბა | 32 | 9 | 2 | 21 | 35:69 | 29 |
| სამეგრელო | 31 | 5 | 4 | 22 | 34:80 | 19 |
| სოხუმი | 31 | 3 | 9 | 19 | 30:66 | 18 |

# კორეა–იაპონია 2002
## მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 14 დღე

### ს. აფრიკა

# იომოს სურს, იომოს ჯანმრთელი ფეხბურთელებით


იომო სონომ ლუკას რადებეს ხელი გაუწოდა

„ბაფანა-ბაფანა" იომო სონომ დაალაგა. მწვრთნელმა შეიტყო, რომ „ჩარლტონში" მოთამაშე მარკ ფიშის ტრავმა სერიოზულია და განაცხადში არ შეიყვანა. მან მარტში გაიკეთა ოპერაცია, მაგრამ გამოჯანმრთელება ბოლომდე ვერ მოასწრო.

16 თვე არ ეთამაშა ლუკას რადებესაც, თუმცა მან ბოლო ამხანაგურ მატჩში მადაგასკართან ერთი ტაიმი მაინც იბურთავა. ამის წყალობით იგი სონოს ნაკრებში მოხვდა.

უმუნდიალოდ დარჩა გიორგი დემეტრაძის თანაგუნდელი ლეკხეტო, სამაგიეროდ, ადგილი გამოინახა ყმაწვილი სივენ პიენაარისთვის. პიენაარი 20 წლისაა და ამსტერდამის „აიაქსის" მაისურას ატარებს. მან ჰოლანდიის თასის ფინალში შეცვლაზე ითამაშა.

რაც მთავარ მეკარეს, ჰერენვენელ ჰანს ვონკს კი, ვერც კარში დგომას შეეცილება ვინმე და, ალბათ, კაპიტნის სამკლავურსაც მოირგებს — ასე სურს იომო სონოს.

*მეკარეები:* ანდრე არენდსე (სანტოსი), კლევინ მარინი (აიაქს კეიპტაუნი), ჰანს ვონკი (ჰერენვენი, ჰოლანდია);

*მცველები:* მეთიუ ბუთი (მამელოდი სანდაუნზი), ბრედლი კარნელი (შტუტგარტი, გერმანია), პიერ ისა (უოტფორდი, ინგლისი), აარონ მოკოენა (ბეერსხოტი, ბელგია), ტაბანგ მოლეფე (იომო კოსმოსი), სირილ ნზამა (კაიზერ ჩიფსი), ლუკას რადებე (ლიდსი, ინგლისი);

*ნახევარმცველები:* დელრონ ბაკლი (ბოხუმი, გერმანია), კვინტონ ფორჩუნი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ტაბო მნგომენი (ორლანდო პაირატსი), ბენეტ მნგუნი (ლოკომოტივი, რუსეთი), ტებოგო მოკოენა (სენტ გალენი, შვეიცარია), მაკდონალდ მუკანსი (ლოკომოტივი, ბულგარეთი), სივენ პიენაარი (აიაქსი, ჰოლანდია), იაბუ პულე (კაიზერ ჩიფსი), მაკბეტ სიბაია (იომო კოსმოსი), სიბუსისო ზუმა (კოპენჰაგენი, დანია);

*თავდამსხმელები:* ბენი მაკკარტი (პორტუ, პორტუგალია), ჯორჯ კუმანტარაკისი (ბაზელი, შვეიცარია), სიაბონგა ნომვეტე (უდინეზე, იტალია)

**ვაჟა ხუციშვილი**

### იაპონია

*მეკარეები:* იოშიკაცუ კავაგუჩი (პორტსმუთი, ინგლისი), სეიგო ნარაზაკი (ნაგოია გრამპუს ეითი), ჰიტოში სოგაჰატა (კაშიმა ანთლერსი);

*მცველები:* რიუზო მორიოკა (შიმიცუ), ტოშიჰირო ჰატორი (ჯუბილო ივატა), ცუნეიასუ მიამოტო (გამბა ოსაკა), ნაოკი მაცუდა (იოკოჰამა მარინოსი), იუჯი ნაკაზავა (იოკოჰამა მარინოსი), კოჯი ნაკატა (კაშიმა ანთლერსი);

*ნახევარმცველები:* ჰიროაკი მორიშიმა (სერეზო ოსაკა), ჰიდეტოში ნაკატა (პარმა, იტალია), ტაკაში ფუკუნიში (ჯუბილო ივატა), ალექსანდრე სანტოსი (შიმიცუ), კაზუიუკი ტოდა (შიმიცუ), ტომოკაზუ მიოჯინი (კაშივა), შუნსუკე ნაკამურა (იოკოჰამა მარინოსი), იუნიჩი ინამოტო (არსენალი, ინგლისი), შინჯი ონო (ფეიენოორდი, ჰოლანდია), დაისუკე იჩიკავა (შიმიცუ);

*თავდამსხმელები:* ტაკაიუკი სუზუკი (კაშიმა ანთლერსი), ატსუში იანაგისავა (კაშიმა ანთლერსი), აკინორი ნიშიზავა (სერეზო ოსაკა), ტაშუჰიკო კუბო (ჰიროშიმა)

# ამბავ-ხაბარი

იტალიური „ბრეშას" თავკაცმა კარლო მაცონემ, რომელიც მომავალ სეზონში შესაძლოა „ბოლონიას" ჩაუდგეს სათავეში, სინანული გამოთქვა, რობერტო ბაჯოს მსოფლიოს ჩემპიონატზე არწაყვანის გამო. „მე რობერტოსთან ხშირი კონტაქტი მაქვს. ბოლო დღეებია, ის საკუთარ თავს არ ჰგავს. უხასიათოდაა და იმედგაცრუებულია. ჯოვანი ტრაპატონის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, ბაჯოს აუცილებლად წავიყვანდი მუნდიალზე. მით უმეტეს, ახლა, როცა რობერტო მშვენიერ ფორმაშია" — განაცხადა მაცონემ.

შვედეთის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ნახევარმცველი ჰაკან მილდი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ის მძიმე ოპერაციის შემდეგ ახლახან გამოჯანმრთელდა, თუმც კვლავ დაშავდა. „ძალიან მინდოდა, ნაკრებს კორეა-იაპონიაში წავყოლოდი. გული საშინლად მტკივა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს გამოვტოვებ. ჩემს თანაგუნდელებს დიდ წარმატებებს ვუსურვებ" — „უიმბლდონის" ნახევარმცველი ჰაკან მილდი გულაზდილი იყო.

იტალიის ნაკრების თავდამსხმელის, ფილიპო ინძაგის თქმით, მის გუნდს სუსტი წერტილი არ მოეძებნება: „ჩვენ ძალიან კარგად დაბალანსებული გუნდი გვყავს. დარწმუნებული ვარ, საჭირო დროს ჩინებულ ფორმაში ვიქნებით და წარმატებასაც მივაღწევთ".

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ რიკარდუ ტეიშეირას სურს, რომ ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ეროვნულ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგაც უთავკაცოს. „სკოლარი მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელია და მასთან ერთად მუშაობა მომავალშიც მინდა. ფეხბურთის ფედერაცია ყველაფერს გააკეთებს მის ნაკრებში დასატოვებლად" — თქვა ტეიშეირამ და დასძინა, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი პაულუ რობერტუ ფალკაო სკოლარის თანაშემწედ უნდა დაინიშნოსო. შეგახსენებთ, 1990-91 წლებში ფალკაო ბრაზილიის ნაკრებს თავკაცობდა.

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ თქვა, საერთოდ არ მაინტერესებს პარაგვაის ნაკრების მეკარისა და კაპიტნის ხოსე ლუის ჩილავერტის ნათქვამიო. შეგახსენებთ, ჩილავერტმა ცოტა ხნის წინ პრესას განუცხადა, ესპანეთის ნაკრებს სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ჯგუფში რომ ეთამაშა, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს ვერ მოიპოვებდაო. „რასაც ჩილავერტი ამბობს, მხოლოდ მისი პრობლემაა და არა ჩემი. მე საკუთარი გუნდი მაინტერესებს, სხვას ყურადღებას არ ვაქცევ" — თქვა კამაჩომ.

ირლანდიის ნაკრების ნახევარმცველი მარკ კენედი დაშავდა და მსოფლიოს ჩემპიონატს გამოტოვებს. „ვულვერჰემპტონის" ნახევარმცველს ფეხი კარგა ხანია, აწუხებდა, თუმც თანამემამულე ნილ ქუინის გამოსათხოვარ მატჩში გაუმიზეზდა და– კენედიმ ირლანდიის ნაკრების თავკაც მიკ მაკარტის განუცხადა, მუნდიალზე თამაშს ვერ შევძლებო. მის შემცვლელად „მილუოლის" წევრ სტეფან რეიდს მიიჩნევენ.

საუდის არაბეთის ნაკრების მწვრთნელმა ნასერ ალ-ჯაჰარმა სენეგალთან 3:2 მოგებული ამხანაგური მატჩის შემდეგ გუნდიდან სამი ფეხბურთელი დაითხოვა. სალაჰ ალ-საკრი, აჰმედ ალ-ბაჰრი და საად ალ-დოსარი მსოფლიოს ჩემპიონატზე არ გაემგზავრებიან. მათ ნაცვლად საუდეთის ნაკრებში სალაჰ ალ-მოჰამადი და მოჰამედ ალ-ჩალჰუბი მიიწვიეს. შეგახსენებთ, რომ არაბებს ტრავმის გამო ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, თავდამსხმელი ტალალა ალ-მეჩაალა დააკლდებათ. მწვრთნელი მუნდიალზე წამსვლელ ფეხბურთელთა სიას უახლოეს დღეებში გამოაცხადებს.

გერმანიის ნაკრებს ტრავმის გამო შესაძლოა კიდევ ერთი ფეხბურთელი, დორტმუნდელი კრისტიან ვიორნსი დააკლდეს. „იმედი მაქვს, მუნდიალზე ვითამაშებ, თუმც ისიც ვიცი, რომ ეს ძალიან რთული იქნება. არ მინდა, ჯანმრთელობის ფასად გავრისკო" — განაცხადა კრისტიან ვიორნსმა. მის შემცვლელად ნაკრების თავკაცი რუდი ფიოლერი „ვერდერის" მცველ ფრანკ ბაუმანს მიიჩნევს. შეგახსენებთ, რომ გერმანელებს უკვე გამოაკლდათ „ბაიერნის" ნახევარმცველი მეჰმეთ შოლი და „ლევერკუზენის" კაპიტანი იენს ნოვოტნი. ასევე საეჭვოა მსოფლიოს ჩემპიონატზე „ჰერტას" მცველ მარკო რემერის თამაშიც.

იტალიის ნაკრების თითოეული ფეხბურთელი მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების შემთხვევაში 170 ათას ევროს მიიღებს. ფეხბურთელებს თანხა კი ეცოტავათ, მაგრამ უკმაყოფილება არ გამოუთქვამთ. „ეს ძალიან მშვიდი შეხვედრა იყო. ყველაფერი წყნარად გადავწყვიტეთ. პირადად მე საკუთარი ჯიბიდან გადავიხდიდი ფულს, ოღონდ კი მსოფლიოს ჩემპიონები გავხდეთ" — განაცხადა ანჯელო დი ლივიომ.

# ტაკარ, ილოცე საოცრებისთვის
## დაიერი დუბაიში გაიცხრილება


კირონ დაიერი ჭერჭერობით ზის

### ინგლისი

უკვე მერამდენედ გვიწევს, ტრავმებმოხლევაშებულ ინგლისის ეროვნულ გუნდზე რაიმე ამბავი რომ გაუწყოთ.

23 წლის ნიუკასლელი კირონ დაიერს მუხლის მყესები აქვს დაზიანებული, სამუნდიალო განაცხადშია, მაგრამ მისი კორეა-იაპონიაში წასვლა სათუოა. თუმც გუშინ მან ექიმისგან ნებართვა აიღო და ინგლისის ნაკრებს დუბაიში ჩააკითხავს. „ეს ძალიან კარგი ამბავია. დაიერი შემოგვიერთდება და ამის მერე ყველაფერი საბოლოოდ გაირკვევა. მას უკვე შეუძლია სირბილი და მომდევნო დღეებში ჩვენი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იქნება. ნებისმიერი ფეხბურთელი ასი პროცენტით უნდა იყოს მზად, მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ ითამაშოს" — ბრძანა ინგლისელთა შვედმა თავკაცმა სვენ გორან ერიკსონმა.

თავად დაიერმა კი დასძინა, გამოჯანმრთელებისთვის არც მეტი, არც ნაკლები, საოცრებაა საჭირო... თუ საოცრება არ მოხდა, კირონის ცოდვა „საუთჰემპტონის" მაროკოელ მცველ ტაჰარ ელ-ჰალეჯს დააწვება — სწორედ ის შეეჯახა პრემიერლიგის ბოლო ტურის მატჩში დაიერს.

**დავით თავართქილაძე**

### FIFA World Ranking

ფიფას ახალ რეიტინგში საქართველო 58-ე ადგილზეა, მაგრამ აქ სხვა რამ გვაინტერესებს – როგორ განაწილდნენ მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელი ქვეყნები. ოცდათორმეტი ნაკრები ორმოცდაათ საუკეთესოში ჩაეტია

| | | |
|---|---|---|
| 1 | საფრანგეთი | 802 |
| 2 | ბრაზილია | 784 |
| 2 | არგენტინა | 784 |
| 4 | კოლუმბია | 728 |
| 5 | პორტუგალია | 726 |
| 6 | იტალია | 717 |
| 7 | მექსიკა | 716 |
| 7 | ესპანეთი | 716 |
| 9 | ჰოლანდია | 703 |
| 10 | იუგოსლავია | 702 |
| 11 | გერმანია | 695 |
| 12 | ინგლისი | 694 |
| 13 | აშშ | 690 |
| 14 | რუმინეთი | 675 |
| 15 | ჩეხეთი | 674 |
| 15 | ირლანდია | 674 |
| 17 | კამერუნი | 672 |
| 18 | პარაგვაი | 671 |
| 19 | შვედეთი | 665 |
| 20 | დანია | 657 |
| 21 | ხორვატია | 655 |
| 22 | თურქეთი | 654 |
| 23 | ბელგია | 653 |
| 24 | ურუგვაი | 652 |
| 25 | სლოვენია | 649 |
| 26 | ჰონდურასი | 647 |
| 27 | ნიგერია | 644 |
| 27 | რუსეთი | 644 |
| 29 | კოსტა რიკა | 643 |
| 30 | ტუნისი | 635 |
| 30 | ირანი | 635 |
| 32 | იაპონია | 634 |
| 33 | ნორვეგია | 631 |
| 34 | საუდეთი | 627 |
| 35 | ეკვადორი | 624 |
| 35 | ტრინიდადი და ტობაგო | 624 |
| 37 | სამხრეთ აფრიკა | 621 |
| 38 | პოლონეთი | 615 |
| 39 | მაროკო | 612 |
| 40 | სამხრეთ კორეა | 603 |
| 41 | ფინეთი | 600 |
| 42 | სენეგალი | 599 |
| 43 | ეგვიპტე | 598 |
| 44 | უკრაინა | 593 |
| 45 | ჩილე | 590 |
| 46 | კოტ დივუარი | 580 |
| 47 | პერუ | 578 |
| 48 | ავსტრალია | 575 |
| 49 | სლოვაკეთი | 574 |
| 50 | ჩინეთი | 566 |

### აშშ

*მეკარეები:* ბრედ ფრიდელი (ბლეკბერნი, ინგლისი), კეისი კელერი (ტოტენჰემი, ინგლისი), ტონი მეოლა (კანზას სიტი ვიზარდსი);

*მცველები:* ჯეფ აგოსი (სან ხოსე), გრეგ ბერჰალტერი (კრისტალ პალასი, ინგლისი), ფრენკი ჰეიდუკი (ლევერკუზენი, გერმანია), კარლოს ლამოსა (ნიუ ინგლენდ რევოლუშიონი), პაბლო მასტროენი (კოლორადო რაპიდსი), ედი პოპი (ვ.ს. იუნაიტედი), დავიდ რეგისი (მეცი, საფრანგეთი), ტონი სანე (ნიურნბერგი, გერმანია);

*ნახევარმცველები:* დამარკუს ბესლი (ჩიკაგო ფაიარი), ლანდონ დონოვანი (სან ხოსე), კობი ჯოუნსი (ლოს ანჯელეს გალაქსი), ედი ლუისი (ფულემი, ინგლისი), ჯონ ობრაიენი (აიაქსი, ჰოლანდია), კლაუდიო რეინა (სანდერლენდი, ინგლისი), ერნი სტიუარტი (ბრედა, ჰოლანდია);

*თავდამსხმელები:* კლინტ მეტისი (ნიუ იორკ ნიუ ჯერსი მეტროსტარზი), ბრაიან მაკბრაიდი (კოლუმბუს ქრიუ), ჯო-მაქს მური (ევერტონი, ინგლისი), ჯოშ ვოლფი (ჩიკაგო ფაიარი)

### ს. კორეა

*მეკარეები:* ვონ-იაე ლი (სუვონ ბლუ ვინგზი), ბიუნგ-იი კიმი (პოჰანგ სტილერსი), ეუნ-სონგ ჩოი (ტაეჯონ სიტიზენი);

*მცველები:* ტაე-იანგ კიმი (ჩუნამ დრაგონსი), მინ-სუნგ ლი (პუსან კონსი), ჯინ-ჩულ ჩოი (ჩონბუკ მოტორსი), მიუნგ-ბო ჰონგი (პოჰანგ სტილერსი);

*ნახევარმცველები:* ჩონგ-გუგ სონგი (პუსან კონსი), სანგ-ჩულ იოო (კაშივა რეისოლი), სუნგ-იონგ ჩოი (სუვონ ბლუ ვინგზი), იულ-იონგ ლი (ბუშონი), ჯი-სუნგ პარკი (კიოტო ფარპლ სანგა), ნამ-ილ კიმი (ჩუნამ დრაგონსი), იონგ-პიო ლი (ანიანგ ჩიტესი), იუნგ-მინ ჰიუნი (ულსან ტაიგერსი), ჩუნ-სოო ლი (ულსან ტაიგერსი), ტაი-უკ ჩოი (ანიანგ ჩიტესი);

*თავდამსხმელები:* იუნგ-ჰვან ანი (პერუჯა, იტალია), იუნგ-ჰვან იოონი (სერეზო ოსაკა), სუნ-ჰონგ ჰვანგი (კაშივა რეისოლი), იონგ-სოო ჩოი (ჯეფ იუნაიტედ იჩიჰარა), დოო-რი ჩა (კორეა იუნივერსითი), კი-ჰიეონ სეული (ანდერლეხტი, ბელგია)

# ჩემპიონთა ლიგა. ფინალი

## რეალი 2:1 ლევერკუზენი

გლაზგო. „ჰემპდენ პარკი". 52 000 მაყურებელი. მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

რეალი: სესარი (კასილიასი 68), სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი, სოლარი, მაკელელე (კონსეისაო 73), ზიდანი, ფიგუ (მაკმანამანი 61), რაული, მორიენტესი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

1:0 რაული (9), 1:1 ლუსიო (14), 2:1 ზიდანი (45)
გაფრთხილება: ლუსიო, სალგადო, რობერტო კარლოსი

ლევერკუზენი: ბუტი, პლასენტე, სებესკენი (კირსტენი 65), ლუსიო (ბაბიჩი 90), ჟიკოვიჩი, შნაიდერი, რამელო, ბალაკი, ბაშტურქი, ნოივილი, ბრდარიჩი (ბერბატოვი 39)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი



REUTERS



# ტყვია თასს რას დააკლებს

21 წლის ხაიმე რიგითი ესპანელი სტუდენტია. ის მადრიდის „რეალის" ქომაგია და 50-იან წლებში, როცა „სამეფო კლუბმა" ზედიზედ ხუთჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი, სტუდენტი ხაიმე, ცხადია, დაბადებულიც არ იყო და მაშინდელი ზარ-ზეიმიც, ცხადია, არ ახსოვს. სამაგიეროდ, ხაიმე ბოლო ხუთ წელიწადში სამჯერ გახდა სიბელესის მოედანზე მოწყობილი დიდი სახალხო სიხარულის მოწმე.

„როცა ფინალი დასრულდა, რაღაც იდუმალმა ძალამ თავისით გამიყვანა ქუჩაში, სადაც ათასობით ადამიანი შეკრებილიყო. მადრიდი ზეიმობს."

ასეთმა ხაიმეებმა ოთხშაბათ ღამეს მადრიდი წალეკეს...

... ვიღაცამ დროშის ქნევის გარდა, ბოთლის სროლისა და ჩხუბისთვისაც მოიცალა. ნასროლი ბოთლი და ქვა კი ან პოლიციელს ხვდებოდა თავში ან სხვა მოზეიმე მადრიდელს და ოცდაათი კაცი საავადმყოფოში წასაყვანი გახდა. რვა მადრიდელმა კი საპატიმროში ამოყო თავი.

ერთხანს პოლიციამ ალგ ზნებული ხალხი რომ ვერაფრით დააშოშმინა, რეზინის ტყვიებით გაუმასპინძლდა, თუმცა უკუეფექტი მიიღო. ბრბოდან ვიღაცამ უკვე ნამდვილი ტყვიებით გახსნა ცეცხლი და პოლიციის ფურგონს ორჯერ მოარტყა.

თუმცა ეს ამბავი მალე აღარავის ეხსომება, „რეალის" მეცხრე თასი კი ფეხბურთის ისტორიაში ჩაიწერება.



REUTERS

# ნათქვამია

## ზინედინ ზიდანი

მნიშვნელოვანი ის არის, რომ მატჩი ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. სანახაობა ორივე გუნდმა, ყველა ფეხბურთელმა შექმნა. ბედნიერი ვარ და წარმატებას გულშემატკივრებს ვუძღვნი.

## რაული

ჩვენ რაღაც დიდებულს მივაღწიეთ. ხუთ წელიწადში „რეალმა" სამჯერ მოიპოვა ჩემპიონთა თასი, რაც გუნდის მუხლჩაუხრელი მუშაობის შედეგია. წარმომიდგენია, რა ხდება ახლა მადრიდში, სიბელესის მოედანზე. დარწმუნებული ვარ, მთელ ესპანეთში ხალხი ილიმება. ყველა ჩვენ გვიჭერდა მხარს.

## ალფრედო დი სტეფანო

### „რეალის" საპატიო პრეზიდენტი

მათ ხუთ წელიწადში სამჯერ მოიგეს თასი და ეს რაღაც განსაკუთრებული შედეგია. ბოლოს ძალიან გაჭირდა, მაგრამ გუნდმა ყველაფერი გაიღო შეხვედრა მის სასარგებლოდ რომ დასრულებულიყო.

## კლაუს ტოპმიოლერი

„ხანდახან ფეხბურთი დაუნდობელია. დიდი ტკივილის და თავდადების მიუხედავად კუთვნილს ყოველთვის როდი იღებ. ჩვენ ზედიზედ სამ შეჯიბრებაში გავედით მეორე ადგილზე, თუმცა განა სეზონის დასაწყისში იყო ვინმე, ვინც ჩვენგან ასეთ მიღწევებს ელოდა? ვინმეს რომ ეთქვა, „ლევერკუზენი" ბუნდესლიგაში მეორე ადგილზე, გერმანიის თასის ფინალსა და ჩემპიონთა თასის ფინალში გავაო, გიჟად მონათლავდნენ. ჩვენ ხომ ლიგაში მოსახვედრად შესარჩევი ეტაპის გავლა დაგვჭირდა. დიახ, გული მტკივა, რომ დავმარცხდით, მაგრამ იმავდროულად ძალიან ვამაყობ. ჩვენ მთელი სეზონი ძლიერად ჩავატარეთ და ძლიერად ვითამაშეთ დღესაც. განსაკუთრებით პირველ ტაიმში. შეხვედრაც დიდებული გამოვიდა. ჩემი ფეხბურთელებით იმიტომაც ვამაყობ, რომ მათ ბოლო წამამდე იბრძოლეს. გულდასაწყვეტი იყო პირველი გოლი. გულის დაწყვეტას ისიც ამძაფრებს, რომ ვიდეოზე ასი მაგალითი მაინც გვაქვს ნანახი, როგორ ისვრის აუტიდან ბურთს რობერტო კარლოსი. მეორე გოლზეც გვმართებდა რეაგირება, მიუხედავად იმისა, რომ ზიდანმა დარტყმა ვირტუოზულად შეასრულა."

## ვისენტე დელ ბოსკე

„ჩვენთვის განსაკუთრებული წელიწადი იყო და კმაყოფილი ვარ, ასე რომ დავასრულეთ. „ლევერკუზენი" მთელი შეხვედრის განმავლობაში გვაწვებოდა, მაგრამ, ალბათ, ენა არავის მოუბრუნდება იმის სათქმელად, რომ გამარჯვება არ დავიმსახურეთ. ჩვენ მთელი სეზონის განმავლობაში გამორჩეულად ვთამაშობდით.

მეკარის შეცვლაზე იმას გეტყვით, რომ არ მახსოვს, ფინალში რომელიმე გუნდს ისეთი რამ დამართნოდეს, ჩვენ რომ დაგვემართა. სამაგიეროდ, ვიცოდი, რომ იკერი არ გვიღალატებდა. მთელი სეზონის მანძილზე ძველებურად ვარჯიშობდა, პრეტენზია არ გამოუთქვამს და აი, დღეს დაამტკიცა, რომ ნამდვილი პროფესიონალია.

რაც შეეხება ზიდანს, კარგ, ცუდ თუ უსახურ შეხვედრაში ერთხელ მაინც ბრწყინავს."

ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი ფინალი ამ ევროთასის გათამაშებაში რიგით 47-ე იყო, გლაზგოში გამართული კი — მესამე. ჩემპიონთა თასის პირველი გლაზგოური ფინალი 1960 წლის 18 მაისს ჩატარდა. მაშინ „რეალმა" ფრანკფურტის „აინტრახტს" 7:3 მოუგო. მეორე 16 წლის შემდეგ გაიმართა. 1976 წლის 12 მაისს მიუნხენის „ბაიერნმა" ფრანგული „სენტ ეტიენი" 1:0 დაამარცხა. სხვათა შორის, 1960 წლის ფინალს ჩემპიონთა თასისთვის სარეკორდო, 128 000 ადამიანი დაესწრო.

ამ ფინალამდე „რეალი" „ლევერკუზენს" 4-ჯერ შეხვდა და ოთხჯერვე ჩემპიონთა ლიგაში. პირველი შეხვედრა 1998 წლის მარტში, მეოთხედფინალში შედგა. ლევერკუზენული 1:1-ის შემდეგ მადრიდში „რეალმა" 3:0 მოიგო. 2000 წელს კი ეს გუნდები ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე შეხვდნენ, სექტემბერში „ბაიერმა" საკუთარ მოედანზე 2:3 დათმო, ოქტომბერში კი „რეალმა" 5:3 მოიგო მადრიდში.

ჩემპიონთა თასისა და ლიგის ფინალები სულ ორ ესპანურ გუნდს აქვს მოგებული, „რეალს" — 1956, 57, 58, 59, 60, 98, 2000, 2002 წლებში და „ბარსელონას" 1992 წელს. გერმანელებიდან ჩემპიონთ თასი მიუნხენის „ბაიერნს" — 1974, 75, 76, 2001 წლებში, „ჰამბურგს" 1983 წელს და დორტმუნდის „ბორუსიას" 1997 წელს მოუგიათ.

ესპანური კლუბები ჩემპიონთა ლიგის და თასის ფინალში 9-ჯერ დამარცხებულან. სამჯერ „ბარსელონა" — 1961, 1986, 1994 წლებში, ამდენჯერვე „რეალი" — 1962, 1964 და 1981 წლებში, მადრიდის „ატლეტიკო" 1974 წელს და „ვალენსია" 2000 და 2001 წლებში. გერმანელთაგან ყველაზე მეტი ფინალი „ბაიერნს" წაუგია. ბავარიელები 1982, 1987, 1999 წლებში დამარცხდნენ. მათ გარდა ფინალში ფრანკფურტის „აინტრახი" 1960 წელს, მიოხენგლადბახის „ბორუსია" 1977-ში, „ჰამბურგი" 1980-ში და ახლა ლევერკუზენის „ბაიერიც" გაწბილდნენ.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ექვსი სეზონის განმავლობაში გერმანული კლუბები ჩემპიონთა ლიგის ფინალში მეოთხედ გავიდნენ, „რეალი" კი ბოლო 5 სეზონში ჩემპიონთა ლიგის მეხუთე ესპანელი ფინალისტია.

გერმანულ და ესპანურ კლუბებს შორის „რეალ" — „ლევერკუზენის" ფინალი მეოთხეა. 1960 წელი: „რეალი" — „აინტრახტი" 7:3, 1974 წელი: „ბაიერნი" — „ატლეტიკო" 4:0 (გადათამაშებაში, პირველი მატჩის 1:1 დასრულების შემდეგ), 2001 წელი: „ბაიერნი" — „ვალენსია" 1:1 (პენალტების სერიით 5:4) და ოთხშაბათის „რეალი" — „ბაიერი" 2:1.

„ლევერკუზენს" თავისი ერთადერთი ევროთასის ფინალი სწორედ ესპანური კლუბისთვის მოუგია. 1988 წელს უეფას თასის ფინალში „ბაიერმა" „ესპანიოლი" დაამარცხა. „რეალს" თავის ასწლიან ისტორიაში 28-ჯერ ესპანეთის ჩემპიონატი, 9-ჯერ კი ჩემპიონთა თასი აქვს მოგებული.

ლევერკუზენის „ბაიერი" 98-წლიან ისტორიაში სულ ორი ტიტულით იწონებს თავს — ზემოთხსენებული უეფას თასის გარდა, 1993 წელს გერმანიის თასი მოიგო. გამარჯვების შემთხვევაში „ბაიერი" ჩემპიონთა თასის ისტორიაში პირველი კლუბი გახდებოდა, ვისაც ეროვნული ჩემპიონატი არასდროს მოუგია.

ლევერკუზენი სიმცირით მეორე ქალაქია, ვისმა გუნდმაც ჩემპიონთა ლიგის ფინალში გააღწია. ლევერკუზენის მოსახლეობა 155 ათასი კაცს ითვლის, მასზე მცირე მოსახლეობა მხოლოდ 1978 წლის ჩემპიონთა თასის ფინალისტ ბრიუგეს ჰყავდა — 115 ათასი.

მადრიდის „რეალიდან" რაულმა, მორიენტესმა, იერომ და რობერტო კარლოსმა ჩემპიონთა ლიგა უკვე მესამედ მოიგეს, გამარჯვების გოლის ავტორი ზინედინ ზიდანი კი მე-11 ფეხბურთელია, ვისაც ჩემპიონთა ლიგის ფინალი ორი სხვადასხვა კლუბის შემადგენლობაში უთამაშია, (1997 და 1998 წლებში „იუვენტუსთან" ერთად ზიდანი დორტმუნდის „ბორუსიას" და „რეალს" შეხვდა).

ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში საუკეთესო შედეგი რაულს აქვს — 34 გოლი. მთლიანად ჩემპიონთა თასის ისტორიაში კი საუკეთესო ბომბარდირი ასევე რეალელი ალფრედო დი სტეფანოა 49 გოლით. დი სტეფანოს ჩემპიონთა თასის ფინალებში 7 გოლი გაუტანია, ფინალებში ამდენივე გოლი აქვს გატანილი მის თანაგუნდელ ფერენც პუშკაშსაც.

„რეალის" მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ უკვე მეორედ მოიგო ჩემპიონთა თასი. რეკორდი „ლივერპულის" აწგარდცვლილ მწვრთნელ მეტ ბასბის ეკუთვნის. მისმა გაწვრთნილმა მერსისაიდელებმა ჩემპიონთა თასი სამჯერ, 1977, 1978 და 1981 წლებში მოიგეს.



ფერენც პუშკაშმა თავისი მეორე პენალტით გაიტანა

# ყველა დროის უდიდესი

## „უორლდ სოკერის" რედაქტორი პირ რედნეჯი 10-გოლიანი თრილერის შესახებ

**1960 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალი**
18 მაისი. გლაზგო. „ჰემპდენ პარკი". 127 621 მაყურებელი

**რეალი (ესპანეთი) 7:3 აინტრახტი (გფრ)**

**0:1 კრესი (10), 1:1, 2:1 დი სტეფანო (27, 30), 3:1, 4:1, 5:1, 6:1 პუშკაში (44, 56პ, 60, 71), 6:2 შტაინი (72), 7:2 დი სტეფანო (74), 7:3 შტაინი (76)**

**რეალი: დომინგესი, მარკიტოსი, პაჩინი, ვიდალი, სანტამარია, სარაგა, კანარიო, დელ სოლი, დი სტეფანო, პუშკაში, ხენტო**

**მწვრთნელი: მიგელ მუნიოსი**

**აინტრახტი: ლოი, ლუტცი, ჰეფერი, ვაილბეჰერი, აიგენბროდტი, შტინკა, კრესი, ლინდნერი, შტაინი, პფაფი, მაიერი**

**მწვრთნელი: პაულ ოსვალდი**

**მსაჯი: ჯეკ მოუატი (შოტლანდია)**

**ახლა**, როცა 1960 წლის შავ-თეთრ კადრებს უცქერ, ხვდები, რომ ის ფინალი დღევანდელი თაობისთვის რაღაც ციური სანახაობა იქნებოდა. ფეხბურთელებს მოედანზე უამრავი თავისუფალი ადგილი ჰქონდათ, თამაშის ტემპს ხომ ახლანდელს ვერც შევადარებთ.

ცხადია, დღეს ასეთ ღია ბრძოლაში და ამხელა ანგარიშით ვერც ერთი ფინალი ველარ დასრულდება. როცა „მილანმა" „სტიაუას" ოთხი ბურთი გაუტანა, გუნდებს შორის მოლაპარაკებაზეც კი დაეჭვდნენ. ხუთი წლის შემდეგ „მილანმა" ისევ ოთხი შეაგდო, ამჯერად „ბარსელონას" კარში და ყველა „ბარსას" სისუსტეზე ალაპარაკდა. „მილანის" თამაში კი იმ საღამოს ფინალებში საუკეთესოდ აღიარეს — 1960 წლის 18 მაისის ფინალის შემდეგ, როცა გლაზგოს „ჰემპდენ პარკის" სტადიონზე, 128 ათასი მაყურებლის თვალწინ მადრიდის „რეალმა" გერმანული „აინტრახტი" გაანადგურა.

თვითმხილველი უნდა ყოფილიყავით, მაშინდელი ვითარება რომ წარმოიდგინოთ, რომელიც ძალიან განსხვავებულია დღევანდელი პოპვარსკვლავების კონცერტებისა და საერთოდ ყველაფრისგან, რა პირობებშიც დღევანდელი პროფესიული ფეხბურთი არსებობს. ჯერ ერთი, ჩემპიონთა თასი სულ ხუთი წლის იყო, მისი ყველა მონაწილე თავისი ქვეყნის ჩემპიონი გახლდათ, უეფა კი, რომელსაც დაბადებიდან მხოლოდ ოთხი წელი შესრულებოდა, ოდენ 30 წევრს აერთიანებდა და ფინანსურად უჭირდა. ჯერაც არ შექმნილიყო ყოვლისმომცველი ტრანსევროპული კორპორაცია, შეხებისთანავე ყველაფერს ოქროდ რომ აქცევს. მაშინ კენჭისყრისას გეოგრაფიულ პრინციპსაც კი ითვალისწინებდნენ, რათა მგზავრობის ხარჯები შეემცირებინათ.

თასის პირველ გათამაშებას, ომისშემდგომი ეჭვიანობის საფუძველზე პოლიტიკური პრობლემებიც არ აკლდა. პრობლემები, რომლებიც უკვე დიდი ხანია, აღარ არსებობს. მაგალითად, 50-იანი წლების შუაში, ჩემპიონთა თასის მატჩის სათამაშოდ მადრიდში ჩასული ბელგრადის „პარტიზანი", აეროპორტის საბაჟოზე ჩუმად გააპარეს და უკანაც ასევე პარტიზანულად დააბრუნეს, რადგან ესპანეთს აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებთან არანაირი ურთიერთობა არ ჰქონდა და საერთოდ, სლავური წარმოშობის ხალხს ქვეყანაში არ შეუშვებოდა.

ხედავთ, ჩვენს დროში სპორტმა როგორ დაანგრია ეს წინაღობები და ბევრ შემთხვევაში პოლიტიკოსებს ქცევის ნიმუში უჩვენა.

ჩემპიონთა თასის გათამაშება თავიდანვე ორრაუნდიანი, გავარდნითი სისტემით ტარდებოდა. კალენდარს თავად მეტოქე გუნდები ადგენდნენ და ამიტომ საშეჯიბრო სიმწყობრე არ არსებობდა. თუ ორი მატჩის ჯამში ანგარიში საყაიმო იყო, მესამე, დამატებითი შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე ინიშნებოდა. არ არსებობდა მეტოქის მოედანზე გატანილი ბურთის უპირატესობა და მატჩისშემდგომი პენალტები, თამაშის მსვლელობისას ფეხბურთელის შეცვლაც კი არ შეიძლებოდა.

და კიდევ, სად იყო ამდენი ტელეკამერა ან სპონსორი. ქვეყნების უმრავლესობას ჯერაც თითო ტელეარხი ჰქონდა, ეს არხები სახელმწიფო გახლდათ და ფეხბურთს არცთუ ხშირად უჩვენებდნენ. ამიტომაცაა, რომ იმ დროიდან მხოლოდ გაცრეცილი, შავ-თეთრი ფრაგმენტები შემორჩა.

ევროთასებს სამმა ფაქტორმა გაამლებინა. პირველი გულშემატკივრები გახლდნენ, განა „რეალისა" და „აინტრახტის" საცქერად „ჰემპდენზე" შეკრებილი 128 ათასი ადამიანი ამის საუკეთესო მაგალითი არ იყო? დღეს მნიშვნელობა აღარ აქვს, რომ „ჰემპდენი" ძველის ნახევარსაც ველარ იტევს, დღეს ვერც ერთი ნეიტრალური მოედანი ველარ მოგვცემს ამხელა აუდიტორიის შეკრების გარანტიას. თანაც გავიხსენოთ, რომ ფინალამდე რამდენიმე კვირით ადრე, ნახევარფინალში იმავე „აინტრახტმა" „გლაზგო რეინჯერსი" გაანადგურა, შინაც და სტუმრადაც ექვს-ექვსი გოლი გაუტანა. შესაძლოა, გეფიქრათ, გლაზგოელებმა „აინტრახტს" საკმაოდ უყურეს და აღარ დააინტერესებთო, მაგრამ მაშინ გულშემატკივრის ევროთასისადმი დამოკიდებულება სხვაგვარი, უფრო იდილიური გახლდათ.

მეორე — „რეალის" პრეზიდენტი სანტიაგო ბერნაბეუ იყო, ვისაც საფეხბურთო ადმინისტრატორთაგან ლამის ერთადერთს სჯეროდა ტურნირის ბედნიერი მომავლისა. მან თავისი თანაშემწე რაიმუნდო საპორტა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების საძებნად გაამგზავრა, დიდი გუნდის შექმნა სურდა, რომლის თამაშზეც ნებისმიერი სტადიონი გაივსებოდა. „რეალის" დიდებულება ევროპა ალტაცებაში მოჰყავდა და დღემდე ასე გრძელდება.

მესამე კი ალფრედო დი სტეფანო გახლდათ. ბევრისთვის ის მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია. იმ დროში, როცა მოთამაშეები თავისი პოზიციის იქით ცხვირს არ ყოფდნენ, დი სტეფანომ რევოლუცია მოახდინა. მისი მრავალმხრივობა გასაოცარი იყო. დი სტეფანომ ლეგენდარული, ომამდელი ავსტრიელი მწვრთნელის, უგო მაიზლის ოცნებას ფრთები შეასხა და მთელი ათწლეულით დაასწრო ჰოლანდიურ ტოტალურ ფეხბურთს.

მოკლედ, გლაზგოში „რეალი" „დიდი ჩემპიონის" შარავანდედით მოსილი ჩავიდა. მადრიდელებს ხომ წინა ოთხივე ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ემარჯვათ. „რეალი" ევროპული ფეხბურთის დიქტატორი იყო.

„აინტრახტი" კი, ბუნებრივია, დღევანდელ „ბაიერნსა" და „დორტმუნდს" ვერ შეედრებოდა. ის მხოლოდ დასავლეთ გერმანიის ჩემპიონი გახლდათ. საერთოდ, გერმანული ფეხბურთი მაშინ ნახევრადპროფესიული იყო, ჩემპიონატი გეოგრაფიული პრინციპით დაყოფილიყო და გამარჯვებულს რეგიონალურ ტურნირებში საუკეთესოები არკვევდნენ.

კრიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ „აინტრახტმა" ბევრი დაკარგა. უნგრელი თავდამსხმელი იშტვან შტანი ლიეჟის „სტანდარტში" გადავიდა, მის მაგიერ მოსული ირვინ შტაინი კი შრომისმოყვარე, მაგრამ მოსაწყენი ფეხბურთელი იყო. ბედის ირონიით, ფინალში სწორედ შტაინი გახდა აინტრახტელთაგან საუკეთესო.

„აინტრახტს" არც ერთი უცხოელი არ ჰყავდა, „რეალი" კი მოედანზე ხუთი ლეგიონერით გავიდა: არგენტინელი მეკარე როხელიო დომინგესი, ურუგვაელი ცენტრალური მცველი ხოსე სანტამარია, ბრაზილიელი მარჯვენა გარემარბი კანარიო, არგენტინელი ალფრედო დი სტეფანო (ვისაც უკვე მიელო ესპანეთის მოქალაქეობა) და უნგრელი ფერენც პუშკაში.

მოგვიანებით ბერნაბეუ იტყვის: „ეს იყო „რეალის" უდიდესი თამაში, თუმცა პირველი წუთები კარგს არაფერს გვიქადდა".

აინტრახტელები ფიქრობდნენ, რომ „რეალის" ჯობნის საუკეთესო საშუალება საწყის 15 წუთში შეუნელებელი იერიშები იყო. მე-10 წუთზე დიტერ ლინდნერმა მარჯვენა ფრთაზე შტაინს ბურთი ჩამოართვა, საჯარიმოს მიუახლოვდა და რიხარდ კრესს გადასცა, რომელმაც ბურთს მიმართულება შეუცვალა და ბადეში გაახვია. დომინგესმა, სანტამარიამ და ესპანელთა კაპიტანმა სარაგამ დაიგვიანეს.

გოლის შემდეგ თამაშის მიმდინარეობა ნელა, მაგრამ საფუძვლიანად იცვლებოდა. სანტამარიამ ცენტრი გაამაგრა, დი სტეფანო უფრო წინ წაიწია, ხენტომ კი მარცხენა ფრთაზე გაილაღა. 27-ე წუთზე ლუის დელ სოლმა კანარიო მარჯვნივ გააქცია, ამან სამ მცველს დაასწრო, ბურთი დი სტეფანოს გადასცა და ანგარიშიც გათანაბრდა.

სამ წუთში კანარიო ისევ გაექცა მცველებს და დი სტეფანომ მეორე შეაგდო. შესვენების წინ „რეალმა" მესამეც გაიტანა: პუშკაშმა ჰანს-ვალტერ აიგენბროდტის წამიერი უყურადღებობით ისარგებლა და შეცდომისთვის დასაჯა. ჩანს, ამ გოლმა გერმანელები საბოლოოდ გატეხა. მეორე ტაიმის დაწყება მათ პირველის მსგავსად მოინდომეს, მაგრამ თამაშს უკვე მოწინააღმდეგე აკონტროლებდა. მარცხენა გარემარბი ერიხ მაიერი ერთობ მწვავედ და შედეგიანად ირჯებოდა „რეინჯერსთან" ნახევარფინალში, მაგრამ ამჯერად მარკიტოსმა „დაატყვევა".

56-ე წუთზე „რეალმა" კიდევ გაიტანა. დელ სოლმა მოწინააღმდეგის დაცვა გაგლიჯა და მარცხნივ ხენტო მოძებნა, რომელიც საჯარიმოში წააქციეს და პუშკაშმა ზუსტად დაარტყა პენალტი.

ოთხ წუთში დელ სოლმა კუთხური მოინადირა. გერმანელები თავის საჯარიმოში აირივნენ და პუშკაშმა თავისი მესამე გოლი გაიტანა. მალე იმავე დელ სოლმა სწრაფი რეიდი წამოიწყო, გზად დიტერ შტინკა მოატყუა და პუშკაშს დაუგორა. უნგრელმა უძლიერესი დარტყმით შეაგდო და ამ მატჩში პოკერი შეასრულა.

„აინტრახტი" მაინც გმირულად იდგა. ორი საპასუხოს გატანაც მოახერხა, მაგრამ მათ შორის იყო დი სტეფანოს გოლიც, მეკარე ლოი არც განძრეულა, დი სტეფანო კი ჰეთ თრიკის ავტორი გახდა.

ხალხი განცვიფრებული უცქერდა ამ ჯადოსნურ სანახაობას. რა ფინალი იყო, რა ფეხბურთი... „რეალმა" თასი ჩაიბარა და როცა საპატიო წრეს უვლიდა, გასახდელის შესასვლელთან „აინტრახტის" ფეხბურთელებს გადაეყარა, გერმანელები იდგნენ და ესპანელებს ტაშს უკრავდნენ...

ასეთი რამ მერე აღარ ყოფილა და, ალბათ, აღარც გამეორდება. რამდენიმე წელიწადში დაცვითმა ტაქტიკამ ცინიკურად შეცვალა ფეხბურთის არსი. კატენაჩომ და სხვა ათასგვარმა ტაქტიკურმა გამოგონებამ ევროპული ფეხბურთი დაასავადა, ტექნიკა და სილამაზე სადღაც დაიკარგა.

„რეალი" დღესაც მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია, „აინტრახტი" კი წლიდან წლამდე გერმანიის პირველი ბუნდესლიგიდან მეორეში და პირიქით მოგზაურობს.


ხუანდე რამოსი


რეინალდ დენიო


ვიქტორ ფერნანდესი


ხავიერ ირურეტა

# პრიმერა ამბები
## მწვრთნელებს ქალამნები არ უცვდებათ

**ჯერ კიდევ** ჩემპიონატის დასრულებამდე ითქვა „სელტადან" ვიქტორ ფერნანდესის წასვლის შესახებ. კლუბის პრეზიდენტმა ჰორაციო გომესმა მწვრთნელის გათავისუფლების ამბავი ალარ გააჯანჯლა და ისინიც მშვიდად დაშორდნენ ერთმანეთს.

გომესი: „ფერნანდესის თავკაცობისას გუნდმა ევროპაში სახელი გაითქვა, ამიტომ მისი წასვლა დასანანია. ჩვენ ვიქტორი გვიყვარს და უდიდეს პატივს ვცემთ. მისთვის კარი ყოველთვის ღია იქნება. მან შექმნა გუნდი, რომელსაც დიდ გამარჯვებამდე სულ მცირედი აკლდებოდა".

აი, ასე, ქება ქებად, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში ვერმოხვედრა ფერნანდესს არ აპატიეს.

თავის მხრივ მწვრთნელყოფილმა აღიარა, პრეზიდენტის სიტყვებმა გული ამიჩუყაო: „მწვრთნელი ყოველთვის კრიტიკის უპირველესი ობიექტია, თუმცა „სელტაში" მხოლოდ სითბოს და სიყვარულს ვგრძნობდი, როგორც გულშემატკივრის, ისე პრეზიდენტისა და ფეხბურთელების მხრიდან".

ვიქტორ ფერნანდესის დონის სპეციალისტი, ალბათ, უმუშევარი არ დარჩება, მით უმეტეს, მისი მსურველი უკვე გამოჩნდა, ეს სევილიის „ბეტისია".

სევილიური კლუბის პრეზიდენტი მანუელ რუის დე ლოპერა მწვრთნელთან, ხუანდე რამოსთან ახალი კონტრაქტის თაობაზე ვერ მორიგდა. ამის გამო რამოსმა მუშაობის გაგრძელებაზე უარი თქვა და „ბეტისის" მწვრთნელის ადგილიც გათავისუფლდა. ხუანდე რამოსმა პრიმერადივიზიონში ახალაღზევებული გუნდი მეექვსე ადგილზე გაიყვანა და უეფას თასის საგზურიც მოაგებინა. ახლა კი იგი ანაზღაურების მომატებას ითხოვდა, რაზეც არ დასთანხმდნენ.

ესპანური ამბები ამით არ მთავრდება, ბასკურ „სოსიედადშიც" სიახლეა. მოგეხსენებათ, მარტში ჯონ ტოკაში თანამდებობიდან მოხსნეს, გუნდს კი სეზონი რობერტო ოლაბემ ჩაამთავრებინა. სანსებასტიანელებმა ზრდილობიანად გადაუხადეს მადლობა ოლაბეს გუნდის პრიმერადივიზიონში დატოვებისთვის და ახალ მწვრთნელს უხმეს. იგი საკმაოდ ცნობილი კაცია — რეინალდ დენიომ 2001 წელს „ნანტი" საფრანგეთის ჩემპიონი გახადა, ჩემპიონთა ლიგაში კი მეორე ჯგუფურ ეტაპზე გაძვრა. რეინალდ დენიომ გუშინ, სან სებასტიანის „რეალ სოსიედადთან" ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

გალისიელები კი საქმეებს რესტორანში აგვარებენ. გუშინწინ რესტორან PLAYA CLUB-ში ოთხსაათიანი საუბრის შემდეგ „დეპორტივოს" პრეზიდენტმა აუგოსტო სესარ ლენდოირომ მწვრთნელ ხავიერ ირურეტას გუნდის დატოვება გადაათიქრებინა და კონტრაქტი ერთი წლით გაუხანგრძლივა.

ბასკმა ირურეტამ „დეპორტივო" ოთხი წლის წინ ჩაიბარა და 2000 წელს ესპანეთის ჩემპიონი გახადა, მომდევნო სეზონებში კი ვიცე-ჩემპიონი. გალისიური კლუბის ამ ნადავლს ირურეტამ წლეულს ესპანეთის თასიც მიამატა, როცა 6 მარტს მადრიდის „რეალი" მისსავე იუბილეზე 2:1 დაამარცხა.

„ირურეტასთან ერთად კლუბი ახალ მწვერვალებს დაიპყრობს" — განაცხადა აუგოსტო სესარ ლენდოირომ.

**ლუკა ბეზეთბორი**





მარკ ვან ბომელს ლუის ვან გაალმა „ბარსელონას" ვარიანტი გაუჩინა

# ვან გაალი ვაჭრობით იწყებს
## ბარსელონა მანჩესტერს და არსენალს ჰოლანდიელებს შეეცილება

**„ბარსელონამ"** პსვ-ს ფეხბურთელების, კევინ ჰოფლანდისა და მარკ ვან ბომელის შეძენის სურვილი გამოთქვა და, როგორც თავად ჰოლანდიური კლუბი ამბობს, მათი ყიდვის მეტი შანსიც აქვს, ვიდრე ინგლისურ გიგანტებს, „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „არსენალს".

მოგეხსენებათ, პსვ-ს მწვრთნელი ერიკ გერეტსია, რომელიც ფეხბურთელებთან ერთად ბანგკოკში იყო, ტაილანდის ეროვნულ გუნდთან ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად. მატჩი ჰოლანდიელთა გამარჯვებით, 4:1 დასრულდა. თუმცა გერეტსისა და ჟურნალისტების შეხვედრისას სულ სხვა თემები წამოიწია.

„ჩვენ ფეხბურთელებთან დაკავშირებით სულ „მანჩესტერის" და „არსენალის" ხსენება მესმოდა. გაზეთებიც ამას წერდნენ, მაგრამ რაც „ბარსელონას" სათავეში ლუის ვან გაალი ჩაუდგა, ვფიქრობ, ამ ორზე მეტი შანსი კატალონიელებს გაუჩნდათ" — განაცხადა გერეტსმა.

არადა, თავიდან ჰოფლანდსა და ვან ბომელს ყველაზე მეტად „არსენალს" უკავშირებდნენ, „არსენალისთვის" კი ჰოლანდიელი ფეხბურთელი უცხო ხილი არ არის — ლონდონში თამაშობენ დენის ბერხკამპი და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი.

შემდეგ, საქმეში „მანჩესტერ იუნაიტედი" ჩაერთო, მანჩესტერელებს ხომ მცველები, რონი იონსენი და დენის ირვინი წაუვიდნენ და თანაც, ჰოფლანდის გადაბირება კარგა ერთი წელიწადია, გულში აქვთ ამოჭრილი.

ახლა კი, „ბარსელონა" და ვან გაალი გამოჩნდნენ. ვან გაალი „ბარსელონაში" პირველად რომ მუშაობდა, თანამემამულეები მაშინაც მიიყვანა — პატრიკ კლუივერტი და მარკ ოვერმარსი დღემდე იქ არიან, ახლა კი, როგორც გითხარით და როგორც თავად პსვ-ც ადასტურებს, მან ჰოფლანდისა და ვან ბომელის შეძენაზე წამოიწყო მოლაპარაკება.

და საინტერესო რა რის, იცით? ის, რომ გერეტსის განცხადებით, ოფიციალური წინადადება ამ ორი მოთამაშის შეძენის თაობაზე ჯერჯერობით მხოლოდ „ლაციომ" გააკეთა.

„მე კი იმედი მაქვს, რომ ჰოფლანდიცა და ვან ბომელიც ჩვენთან დარჩებიან, თუმცა მესმის, რომ თანამედროვე ფეხბურთში გადამწყვეტი ფულია. მათი დატოვების შანსი დღეს რომ 40 პროცენტია, ხვალ 30 იქნება" — ამბობს პსვ-ს მწვრთნელი.

**ბაჰუნა ძიდია**

## ამხანაგური მატჩები

**საბერძნეთი 3:1 კვიპროსი**

0:1 ნიკოლაუ (6), 1:1, 2:1 ფისასი (27, 32), 3:1 ამანატიდისი (80)

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი (ხიხოპულოსი 46), ამანატიდისი, ფისასი (ვენეტიდისი 46), დაბიზასი (გუმასი 46), კ. კონსტანტინიდისი, იანაკოპულოსი (ლაკისი 46), ზაგორაკისი (ბასინასი 46), კაფესი, მ. კონსტანტინიდისი (გეორგიადისი 46), ალექსანდრისი (მახლასი 46), ნალიცისი (ქრიზასი 46)

კვიპროსი: პანაიოტუ (ნ. მიხაილი 90), სპირუ, იოაკიმი (კონსტანსი 82), ნიკოლაუ, თეოდოტუ (ს. მიხაილი 46), კონსტანსი, საციასი, ხრისტოდულუ (ცურისი 46), ოკასი (იასუმი 71), ელიფთერიუ (ენგომიტისი 76), აგათოკლეუსი (კაიაფასი 62)

მსაჯი: ხოსე ფერნანდეს მარინი (ესპანელი)

3 400 მაყურებელი

**ტაილანდი 1:4 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)**

**ახალგაზრდულები**

**ავსტრია 0:1 ფინეთი**

Copa Toyota Libertadores '2002

**ლიბერტადორესის თასი 2002**

**მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი**

**ნასიონალი (ურუგვაი) 1:1 გრემიო (ბრაზილია) (0:1)**

1:0 რ. მორალესი (53პ), 1:1 კლაუდიომირო (70)

ნასიონალი: მუნუა, სკოტი, ლემბო, დ. როდრიგესი, ლეიტესი (ბარისი 82), პელეგრინო (დელ კამპო 46), ვანზინი, ო. მორალესი, კოელიო (პერალტა 77), ვარელა, რ. მორალესი

გრემიო: ედუარდო, კლაუდიომირო, ანდერსონ პოლგა, როჟერიო, ანდერსონი, ემერსონი, ფერნანდო, ზინიო (მაურო გალვაო 82), ჟილბერტო, ლუიზაო (ფაბიო ბაიანო 59), ლუის მარიო

გაძევება: ლუის მარიო (62)

მსაჯი: კარლოს ამარილია (პარაგვაი)

60 000 მაყურებელი

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი
კარდიოექსპრესდიაგნოსტიკა
გულის დაავადებების თანამედროვე სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა
- კვალიფიციური კარდიოლოგთა კონსულტაცია
- გულის ტრანსეზოფაგული და ტრანსთორაკალური ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრესექოსკოპია
- ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრედმილით
- ტრანსეზოფაგული ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და სტრეს-ტესტი
- გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ელექტროკარდიოგრაფია
- ლაბორატორიული კვლევა
- ულტრათანამედროვე აპარატურა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება
თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)
☎ 53-73-00; 95-00-33

# არსენალის ისტორიის ბენეფისი

**არსენალი (ინგლისი) 1:1 სელტიკი (შოტლანდია)**

0:1 ტომპსონი (37), 1:1 დიქსონი (68)
**არსენალი:** ლუკიჩი (რ. რაიტი 46), დიქსონი, ადამსი, ბოულდი (სტეპანოვსი 65), უინტერბურნი (ჩილვერსი 80), პარლოუ, ვიეირა, ედუ (ლუნგი 46), ბერხკამპი (ლუანი 59), ჯეფერსი (იან რაიტი 72), ალიადიერი (ნ. კანუ 46)
**სელტიკი:** გოულდი (მერბერტი 80), ბალდე (კრეინი 36), ვიგბორნსტი, ბოიდი, ჯ. სმიტი (მაკგოვერნი 80), პელი (გოზერინგემი 73), მაკნამარა, ა. ტომპსონი (რ. მაკკანი 80), გაპი (რ. უოლესი 73), სილა, მელოუნი (მაკპარლანდი 80)
მაჯი: დერმოტ გალაგერი
38 021 მაყურებელი

**ბრიტანეთში** სხვა სიკეთესთან ერთად ერთი კარგი ტრადიციაც აქვთ. ფეხბურთელს სათამაშო კარიერის პერიოდში უწყობენ საბენეფისო მატჩს და შემოსულ თანხას მასვე გადასცემენ, ხოლო მოთამაშე თავად წყვეტს, ის ფული ჯიბეში ჩაიდოს, თუ ქველმოქმედებას მოახმაროს.

„არსენალმა" ის ფეხბურთელი დააფასა, კლუბს აგერ, უკვე 19 წელიწადია ერთგულად რომ ემსახურება და „მეთოფეთა" მაისურით 663 ოფიციალური მატჩი ჩაატარა. 38 წლის ტონი ადამსის პატივსაცემად ორიოდ დღის წინ „არსენალი" „ჰაიბერიზე" გლაზგოს „სელტიკს" შეხვდა. თამაშზე 38 ათასი ქომაგი მივიდა, ადამსმა კი თქვა, თანხის დიდ ნაწილს ქველმოქმედებას მოვახმარო.

ინგლისური დუბლის მომგებსა და შოტლანდიის ჩემპიონს შორის მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. ანგარიში სელტიკელმა ალან ტომპსონმა გახსნა, შემდეგ არსენალელმა ლი დიქსონმა გაქვითა. სხვათა შორის, ზუსტად ადამსის თანატოლმა დიქსონმა ამას წინათ გამოაცხადა, კარიერას ვასრულებო.

ტონი ადამსი „არსენალში" 1983 წელს მივიდა და რა ხანია, გუნდის კაპიტანია. მას „მეთოფეებთან" ერთად 10 დიდი ჯილდო მოუგია, აქედან სამჯერ ინგლისის ჩემპიონი გახდა.

**ნიკა ფუგლაძე**




ტონი ადამსმა დევიდ ოლირიმ და სტივ ბოულდმა ეს ფოტო რომ გადაიღეს, „ფანტასტიკური კაპიტნის" ბენეფისამდე თერთმეტი წელი რჩებოდა



**ფეხბურთის რუკასთან**



**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციამ ლონდონის „ფულემს" საჯარიმო სანქცია მოუხსნა. შეგახსენებთ, რომ „ფულემი" 8 დეკემბერს „ევერტონთან" მატჩში ფეხბურთელთა ჩხუბის გამო დააჯარიმეს. იგივე ბედი „ევერტონსაც" ერგო. მან 25 ათასი გირვანქა უნდა გადაიხადოს, თუმც ლივერპულელებს აპელაცია არ შეუტანიათ.

**ჰოლანდიის** **ნაკრებისა და ესპანური „ბარსელონას" თავდამსხმელი მარკ ოვერმარსი მარჯვენა მუხლის ოპერაციას გაიკეთებს. ამის შემდეგ ფეხბურთელი სამშობლოში დაბრუნდება და მომავალ სეზონს სრულად გამოჯანმრთელებული შეხვდება.**

**ინგლისური** „ჩელსის" ფრანგი მცველი უილიამ გალასი „არსენალში" აპირებს გადასვლას. გალასი „ჩელსის" იტალიელ თავკაც კლაუდიო რანიერის წაეჩხუბა და კლუბშიც აღარ დაედგომება. „მეთოფეები" მასში 7,5 მილიონ გირვანქას იხდიან. „რანიერი ხშირად მიცვლიდა პოზიციებს, რაც ჩემთვის მიუღებელია. ყოველ მატჩში სხვადასხვა ადგილზე თამაში რთულია. ამით ჩემი პოტენციალი იკარგება" — განაცხადა 24 წლის ფეხბურთელმა. ამასთანავე კლაუდიო რანიერიმ დაადასტურა, რომ მადრიდის „რეალის" კამერუნელი მცველით ჯერემი ნჯიტაპითაა დაინტერესებული.

**იუგოსლავიური „პარტიზანი" მწვრთნელ ლუბიშა ტუმბაკოვიჩთან კონტრაქტის გაგრძელებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ მას კლუბთან ხელშეკრულება ზაფხულში უმთავრდება. „პარტიზანის" დირექტორ ნენად ბიეკოვიჩის თქმით, ტუმბაკოვიჩთან მოლაპარაკება უკვე დაწყებულია. ამასთან ცნობილი გახდა, რომ მადრიდის „ატლეტიკოს" ორი ფეხბურთელი — ველკო პაუნოვიჩი და ზვონიმირ ვუკიჩი მომავალი სეზონიდან „პარტიზანში" ითამაშებენ.**

**კამერუნის** ნაკრებისა და ფრანგული „ნანტის" ნახევარმცველი სალამონ ოლემბე „მარსელში" გადაბარგდა. 22 წლის ოლემბემ ეს სეზონი სწორედ „მარსელში" ჩაამთავრა, სადაც იჯარით თამაშობდა. ახლა კი მარსელელებმა ის 5,34 მილიონ ევროდ გამოისყიდეს.

**ინგლისური „ევერტონი" ვეტერან ფრანგ თავდამსხმელ დავიდ ჟინოლას გამოეთხოვა. მას ალეკ კლივლენდმაც მიჰბაძა. ახლა ჟინოლა რამდენიმე კლუბთან აწარმოებს მოლაპარაკებას. „ვადასტურებთ, რომ ჟინოლამ და კლივლენდმა კლუბი დატოვეს. იესპერ ბლომკვისტთან კი შესაძლოა, შეთანხმებას მივაღწიოთ და მან კვლავ ჩვენთან ითამაშოს" — განაცხადა „ევერტონის" პრესმდივანმა.**

**რუსული** „ანჟის" თავკაცი ლეონიდ ტკაჩენკო თანამდებობიდან გადადგა. მან განცხადება დაწერა გათავისუფლების თხოვნით, რაც კლუბის პრეზიდენტმა ხიზრი შიხსაიდოვმა დააკმაყოფილა. ტკაჩენკოს მემკვიდრის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

# ტბაში ჩაძირული ვალი

## უფულოები ნუ მოგვაკითხავთ

**ორიოდ** თვის წინ შვეიცარიის ქალაქ ლუგანოს მახლობლად ტბაში ავტომობილი გადავარდა. მას 62 წლის ელიოზ ჟერმინი მართავდა. ჟერმინი საფეხბურთო კლუბ „ლუგანოს" პრეზიდენტი იყო. ეს ამბავი ადრევე გაუწყეთ, ახლა კი საქმის დეტალები გამოიკვეთა. ამ კლუბს საკმაო ვალები დაუგროვდა, რაც პრეზიდენტის გადასახდელი იყო. ჟერმინის უცნაურ სიკვდილსაც ვალს უკავშირებენ.

43 წლის ჟერმინი „ლუგანოს" პრეზიდენტი 1983 წელს გახდა. როგორც გაირკვა, მას ფირმათა ქსელი ჰქონია, ხოლო ლიხტენშტაინსა და პანამაში არალეგალურ ფონდებს ფლობდა. რაღაც მაქინაციებით პრეზიდენტმა მოხვეჭილი ფულიდან 28 მილიონი დოლარი კლუბის ანგარიშზე ჩარიცხა. მერე ვითომ გუნდისთვის, სინამდვილეში კი თავისი საქმიანობისთვის, იმდენი დაუხარჯავს, რომ დიდძალი ვალი დაედო.

შემდგომ ამისა საქმეები აეწეწა და პარტნიორებმაც უგანეს. ჟერმინს დახმარებისთვის მავანი იტალიელი ბიზნესმენისთვის მიუმართავს. 1999 წელს პიეტრო ბელარდელი „ლუგანოს" პრეზიდენტს შეხვდა და კლუბში ინვესტიციების ჩადებაზე ისაუბრეს. იტალიელმა საბოლოოდ უარი განუცხადა, რასაც ჟერმინის ცხოვრების არევა მოჰყვა, საბოლოოდ კი 2002 წლის 5 მარტს სიკვდილით დასრულდა.

ამჟამად „ლუგანოს" ვალი 6 მილიონ 200 ათას დოლარს შეადგენს. მართალია, აწ გარდაცვლილის თაღლითობების გამო კლუბის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრას არ აპირებენ, მაგრამ გუნდს 6-თვიანი ვადა დაუთქვეს, რომელშიც ვალი უნდა გაისტუმროს.

დავალიანება შვეიცარიის ზედა დივიზიონში სხვებსაც აქვთ: „ლოზანა", „ლუცერნი", „ქსამაქსი", „სერვეტი", „სიონი". ქვედა ლიგიდან: „ლოკარნო", „ვადუცი", „ვინტერთური". ფინანსური არასტაბილურობის გამო ფეხბურთის ფედერაცია მათ 2002-2003 წლების ჩემპიონატში მონაწილეობაზე ლიცენზიებს არ აძლევს. ამის გამო ზემოთ ჩამოთვლილი კლუბები სასამართლოში ჩივილს აპირებენ. მოსმენა თვის ბოლოს დაიწყება.

**გაგა ხუციშვილი**




ანდრეი კანჩელსკისი

# დამიკავშირდით

## ჩაფრული სამსახურისთვის გამოუსადეგარი ვარ

**ოთხი** წელიწადი დაჰყო ანდრეი კანჩელსკისმა „რეინჯერსში" და ახლა ამ კლუბთან განშორების ჟამიც დაუდგა — 33 წლის მარჯვენაფლანგელთან აიბროქსელები კონტრაქტს არ გააგრძელებენ.

კანჩელსკისი, რომელსაც რუსეთის ეროვნულ გუნდშიც უთამაშია, „რეინჯერსმა" 5,5 მილიონ გირვანქად იყიდა „ფიორენტინასგან" 1998 წელს.

შეგახსენებთ, ბრიტანეთში ანდრეის ადრეც უთამაშია „მანჩესტერსა" და „ევერტონში". დიდ წარმატებებს მან „მანჩესტერში" მიაღწია, როცა 2-ჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი, ასწია ასოციაციის და ლიგის თასები — ყველაფერი ეს მან ოთხ სეზონში (1991-95) მოახერხა.

კანჩელსკისი, რომელიც ბოლო დროს ძალიან იშვიათად ხვდებოდა „რეინჯერსის" ძირითადში, კარიერის დასრულებას არ აპირებს: „აიბროქსზე" გატარებული წლებით კმაყოფილი ვარ, წარმატებული პერიოდი მქონდა, მომავალი სეზონიდან კი არ ვიცი, რომელ გუნდში ვითამაშებ. იმედია, აგენტები დამიკავშირდებიან".

**დავით თაგართქილაძე**

# ცხელ თასზე ცინცხალი მწვრთნელი

**აწ გასრულებულ** სეზონში „პარმამ" იარა, იარა და სამჯერ მწვრთნელნაცვალი გუნდი უძლიერესთა შორის გაჭირვებით, მაგრამ მაინც დარჩა. სერია A-ში ჩაჭჩაქით მოთამაშე „პარმამ" სეზონი იტალიის თასით ხელდამშვენებულმა დაასრულა.

გეხსომებათ, შემოდგომაზე რენცო ულივიერი დანიელ პასარელამ შეცვალა, საბოლოოდ კი ჩემპიონატი „პარმამ" პასარელას შემცვლელის, გედეონე კარმიჯანის თავკაცობით ჩაამთავრა.

ახლა, როცა ყველაფერი მორჩა და არიგო საკი გუნდის ტექნიკური დირექტორია, სწორედ მისი ინიციატივით „პარმას" კარმიჯანიც დაემშვიდობა.

პარმელები შემადგენლობის გადახალისება-გაახალგაზრდავებას საკუთარი, შინაური რეზერვებით აპირებენ. მათ აღმზრდელად კი არიგო საკიმ ჩეზარე პრანდელის უხმო და გუნდი ჩააბარა. 44 წლის პრანდელი თავის დროზე „ატალანტას" და „ლეჩეს" წვრთნიდა, ხოლო „ვენეცია" სერია B-დან ორჯერ ალაზევა სერია A-ში.

„ვენეცია", მოგეხსენებათ, უძლიერესთა მარაქას დაემშვიდობა, ჩეზარე პრანდელი კი ამიერიდან „პარმას" გაწვრთნის.



ჩეზარე პრანდელის (მარჯვნივ) ხელი ჩამოართვეს და „პარმაში" გზა დაულოცეს

**გაგა ხუციშვილი**

# მსოფლიოს ჩემპიონატი დააპატიმრეს

**რაო? კორეა-იაპონიაო?** მაგათზე ნაკლების... ჰო, ასე უთქვამთ ტაილანდელებს, ყომარბაზებსა და ფეხბურთის გამლმერთებლებს და თავისი მუნდიალის გამართვა გადაუწყვეტიათ. გადაუწყვეტიათ და გამართავენ კიდეც. ჩვენი წესებით ვითამაშებთო და მოუწვევიათ ჩინეთის, ინგლისის, გერმანიის, ნიგერიის ნაკრებები.

6 ივნისს დაიწყება, 10-ში კი დამთავრდება, პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი... პატიმრებს შორის. დიახ, ზემოთჩამოთვლილი ქვეყნების ტუსაღთა გუნდები ტაილანდში ბურთს გააგორებენ. მათი და მასპინძლების გარდა კიდევ სამი, სულ რვა ნაკრები შეიკრიბება.

ტაილანდელი პატიმრების უმეტესობა ნარკოტიკების გასაღებაზე იხდის სასჯელს. მთავრობამ ნება დართო, დასჯილებმა ნამდვილი მუნდიალის მატჩებს პირდაპირ ეთერში უყურონ, ხოლო სკოლებში მეცადინეობის დრო შემცირდება, რათა მოსწავლეებიც ტელევიზორს მიუსხდნენ.

**გაგა ხუციშვილი**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXXIV ტური

18 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 001 | დიუსელდორფი-აუე | 2,4 | 3,2 | 2,4 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 17.00 | 002 | დრეზდენი-ლიუბეკი | 3,3 | 3,2 | 1,9 | 1,6 | 1,2 | 1,15 |
| 17.00 | 003 | ფორტუნა-ოსნაბრიუკი | 2,3 | 3,2 | 2,5 | 1,3 | 1,1 | 1,4 |
| 17.00 | 004 | ვერდერი (მ)-ფერლი | 1,85 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,2 | 1,7 |
| 17.00 | 005 | კიოლნ-ლევერკუზენი (მ) | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 17.00 | 006 | ბრაუნშვაიგი-ვატენშაიდი | 1,5 | 3,5 | 5,3 | 1 | 1,15 | 2,1 |
| 17.00 | 007 | ქემნიცი-ურდინგენი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |

გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXIV ტური

18 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 008 | ტრიერი-მანჰაიმი | 1,6 | 3,2 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,9 |
| 17.30 | 009 | კაიზერსლაუტერნი (მ)-ერფურტი | 3,3 | 3,2 | 2,0 | 1,6 | 1,2 | 1,2 |
| 17.30 | 010 | დარმშტადტი-კიკერსი | 1,95 | 2,9 | 3,8 | 1,15 | 1,25 | 1,6 |
| 17.30 | 011 | ვეჰენი-როიტლინგენი | 2,0 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,2 | 1,55 |
| 17.30 | 012 | ბურგჰაუზენი-ზიგენი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| 17.30 | 013 | ანსბახი-ოფენბახი | 2,9 | 3,2 | 2,2 | 1,5 | 1,2 | 1,3 |
| 17.30 | 014 | შტუტგარტი (მ)-ელვერსბერგი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,45 |
| 17.30 | 015 | ბაიერნი (მ)-ჰოფენჰაიმი | 1,75 | 3,3 | 3,8 | 1,1 | 1,1 | 1,75 |

იტალია. სერია „ბ". XXXVI ტური

19 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 016 | ბარი-მესინა | 2,0 | 1,8 | 6,0 | 1 | 1,5 | 1,35 |
| 18.00 | 017 | კალიარი-კოზენცა | 1,8 | 2,0 | 6,0 | 1 | 1,35 | 1,5 |
| 18.00 | 018 | ჩიტადელა-სიენა | 2,3 | 3,0 | 2,1 | 1,3 | 1 | 1,2 |
| 18.00 | 020 | ემპოლი-ვენეცია | 1,3 | 3,0 | 7,0 | 1 | 1 | 2 |
| 18.00 | 021 | მოდენა-ანკონა | 1,6 | 2,3 | 5,3 | 1 | 1,2 | 1,6 |
| 18.00 | 022 | ნაპოლი-პისტოიეზე | 1,2 | 3,0 | 5,0 | 1 | 1 | 1,85 |
| 18.00 | 023 | პალერმო-სალერნიტანა | 2,2 | 2,3 | 4,0 | 1,1 | 1,4 | 1,45 |
| 18.00 | 025 | სამპდორია-კომო | 1,55 | 2,5 | 4,4 | 1 | 1,1 | 1,55 |

იტალია. სერია „ც1". ფლეი ოფი. I მატჩები.

19 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 026 | ტრიესტინა-სპეცია | 2,3 | 2,6 | 3,3 | 1,2 | 1,35 | 1,4 |
| 19.30 | 027 | ტრევიზო-ლუმეძანე | 2,1 | 2,6 | 3,8 | 1,15 | 1,3 | 1,5 |
| 19.30 | 028 | პესკარა-კატანია | 2,0 | 2,6 | 4,2 | 1,1 | 1,3 | 1,6 |
| 19.30 | 029 | ლანჩანო-ტარანტო | 2,0 | 2,7 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,6 |

იტალია. სერია „ც1". ფლეი აუტი. I მატჩები.

19 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 030 | არეცო-კარარეზე | 2,2 | 2,9 | 3,2 | 1,2 | 1,3 | 1,5 |
| 19.30 | 031 | ალძანო-რეჯანა | 2,1 | 2,7 | 3,6 | 1,15 | 1,3 | 1,5 |
| 19.30 | 032 | სორა-დი სანგრო | 2,3 | 2,5 | 3,4 | 1,1 | 1,35 | 1,4 |
| 19.30 | 033 | ნოჩერინა-ბენევენტო | 2,0 | 2,7 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,6 |

ესპანეთი. II დივიზიონი. XXXXI ტური

19 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 034 | ფეროლი-ალბასეტე | 2,0 | 2,7 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,6 |
| 23.00 | 035 | სალამანკა-სპორტინგი | 2,3 | 2,7 | 3,2 | 1,2 | 1,3 | 1,45 |
| 23.00 | 036 | უელვა-ხერესი | 1,9 | 2,8 | 4,2 | 1,1 | 1,3 | 1,65 |
| 23.00 | 037 | ლევანტე-ნუმანსია | 2,0 | 2,6 | 3,3 | 1,1 | 1,2 | 1,4 |
| 23.00 | 038 | ეიბარი-კორდობა | 2,0 | 2,5 | 4,4 | 1,1 | 1,35 | 1,55 |
| 23.00 | 039 | ხაენი-ელჩე | 2,0 | 3,0 | 2,0 | 1,2 | 1 | 1,2 |
| 23.00 | 040 | ბურგოსი-მურსია | 2,2 | 2,5 | 2,0 | 1,15 | 1 | 1,1 |
| 23.00 | 041 | რასინგი-ატლეტიკო | 2,0 | 2,9 | 3,0 | 1,15 | 1,2 | 1,45 |
| 23.00 | 042 | ექსტრემადურა-პოლი ეხიდო | 2,0 | 2,8 | 3,5 | 1,15 | 1,25 | 1,55 |
| 23.00 | 043 | ოვიედო-ხიმნასტიკი | 1,7 | 3,1 | 2,5 | 1 | 1 | 1,35 |
| 23.30 | 044 | ლეგანესი-ბადახოსი | 2,2 | 2,6 | 3,5 | 1,15 | 1,3 | 1,45 |

ჰოლანდია. ფლეი ოფი.

18 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 049 | როზენდალი-დენ ბოსხი | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,6 |
| 22.30 | 050 | კამბური-ემენი | 2,6 | 3,3 | 2,0 | 1,4 | 1,1 | 1,2 |

ფინეთი. V ტური

19 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 073 | ჰაკა-ვაასა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| 20.30 | 074 | ინტერი-ალიანსი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,15 | 1,1 | 1,7 |
| 20.30 | 075 | იარო-ტამპერე | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 20.30 | 076 | მიპა-ლაჰტი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |

20 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 077 | ჯაზი-კუოპიო | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |

პოლონეთი. ლიგის თასის

1/2 ფინალ.. II მატჩები.

18 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 080 | ვისლა-კატოვიცე | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |

19 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 081 | ლეგია-რადომსკო | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |

ამხანაგური მატჩები.

17 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 418 | იუგოსლავია-უკრაინა (მოსკოვი) | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 21.00 | 419 | რუსეთი-ბელარუსი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 22.00 | 420 | შვედეთი-პარაგვაი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,9 |
| 22.15 | 421 | დანია-კამერუნი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 23.15 | 422 | სლოვენია-განა | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,9 |

18 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 423 | ნიგერია-იამაიკა(ინგლისში) | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 |
| 22.00 | 424 | გერმანია-ავსტრია | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| 23.00 | 425 | პოლონეთი-ესტონეთი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 23.15 | 426 | ჩეხეთი-იტალია | 2,6 | 2,9 | 2,5 | 1,35 | 1,25 | 1,3 |
| 23.45 | 427 | საფრანგეთი-ბელგია | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |

19 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 428 | აშშ-ჰოლანდია | 3,2 | 3,1 | 2,1 | 1,55 | 1,25 | 1,2 |

20 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11.45 | 429 | ს. აფრიკა-შოტლანდია (ჰონგ კონგი) | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 14.00 | 430 | ჰონგ კონგი-თურქეთი | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,45 | 1,15 | 1 |

ევროპის ჩემპიონატი (21 წლამდე).

17 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 433 | ინგლისი-შვეიცარია | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 23.30 | 434 | იტალია-პორტუგალია | 2,1 | 3,0 | 3,3 | 1,2 | 1,25 | 1,55 |

კალათბურთი

ნბა პლეი-ოფი

18 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 508 | საკრამენტო-ლეიკერსი | 1,65 | 12,0 | 1,75 | | | |

19 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 509 | ნიუ ჯერსი-ბოსტონი | 1,5 | 12,0 | 2,0 | | | |

ჰოკეი

ნჰლ პლეი-ოფი

18 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 516 | დეტროიტი-კოლორადო | 1,7 | 3,8 | 3,3 | | | |


# ჯილდო ათწლოვანი «კროკოსგან»

„კროკოს" ათწლოვან იუბილესთან დაკავშირებით საგანგებო წესით შევსებული ბილეთის მომგები მოგებული თანხის გარდა ჯილდოდ მიიღებს ახალთახალ „რენო მეგანს"

ჯილდოს დაწესების შესახებ ყოველი ტირაჟის გამოქვეყნებისთანავე გამოცხადდება

გადააბით ერთმანეთს 12 მატჩი და თუ თითოეულის კოეფიციენტი იქნება არანაკლებ 1,7, ხოლო ერთ თორმეტმატჩა ვარიანტზე ჩახვალთ ფსონს არანაკლებ 5 ლარისა, ოპერატორს მოსთხოვეთ ბილეთზე საგანგებო ბეჭდის დასმა და მოგებული თანხის გარდა მიიღეთ ჯილდო

## ახალთახალი «რენო მეგანი»



საქართველოში „რენოს" ოფიციალური იმპორტიორის საფირმო მაღაზიიდან

მისამართი: ვაჟა ფშაველას 58

საგანგებო ბილეთით მოგებული თანხა „კროკოს" წესების თანახმად გაიცემა „კროკოს" ნებისმიერ ოფისში, ჯილდოს მისაღებად კი მიმართეთ ცენტრალურ ოფისს ტელეფონებზე:

34-41-84, 34-79-81, 92-38-93

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურ[illegible]ის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა № 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| | მშვიდობის გამზირი №11 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |

## გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო
## თბილისი, ხუდადოვის ქ. №4

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

პლეი ოფი ნახევარფინალი, სამ მოგებამდე

# რას გადამეკიდე?! ხოშტარია დინამოს კოშმარია



ირაკლი ხოშტარია: დინამოს ბედისწერა

**ირაკლი პირტაია**

**სანამ** გუშინ სპორტის სასახლეში დატრიალებული დრამატული ამბების თხრობას შევუდგებოდეთ, თავშივე გეტყვით: სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა ნახევარფინალური სერიის მეოთხე მატჩში თბილისის „დინამო“ დაამარცხა, ანგარიში გაათანაბრა და ახლა ამ გუნდების მეხუთე შეხვედრა გაარკვევს, თუ ვინ შეხვდება ფინალში ბათუმის „ბასკოს“.

უკვე დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ გუშინდელ „სარბიელში“ ნავარაუდევი: სტუ-მ წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე „როგორ უნდა დაეწიო „დინამოს“, როცა დიდი ანგარიშით აგებ“. ამ გუნდების თამაში აგერ, უკვე მეოთხე მატჩია (პლეიოფამდელ ექვსეულშიც ასე იყო), ერთი სცენარით მიდის. თავიდან „დინამო“ იგებს და პირველი ტაიმის ბოლომდე უფრო სოლიდურს ხდის უპირატესობას. ასე, მეორე ნახევრიდან, ანაც უფრო გვიან, სტუდენტები მძლავრობენ (ან „დინამოს“ მოსდის რამე) და დაძაბული ფინალის ჯერი დგება, რომელშიც ხან ერთი იმარჯვებს, ხანაც — მეორე. როგორც ვთქვით, მათი არც ბოლო, გუშინდელი შეხვედრა ყოფილა გამონაკლისი და ყველაფერი ჩვეულებრივ (ეს თუ ჩვეულებრივია) მოხდა, ოღონდ ციფრები გაცილებით შთამბეჭდავია და სტუელთა გმირობაზე, უფრო ზუსტად კი, სტუელის გმირობაზე მიუთითებს.

რა მიხვედრა სჭირდება მის ვინაობას... დიახაც, კვლავ ირაკლი ხოშტარიაა ის კალათბურთელი, ურომლისოდაც „დინამო“ — სტუ-ს შერკინებაში კარგა ხანია, არაფერი ირკვევა. ოღონდ რაც „ხოშტარამ“ გუშინ გააკეთა, იმაზე გაცილებით მეტია, რასაც აქამდე იქმოდა, იგი ხომ აქამდე ერთ, ანაც ორ სროლას აგდებდა გადამწყვეტ მომენტში, ახლა კი ყოველი მისი სროლა გადამწყვეტი იყო, რადგან მან მაშინ დაიწყო ბურთების ყრა, როცა სტუ 17 ქულას აგებდა, მესამე მეოთხედის დამთავრებამდე კი ექვსიოდ წუთი რჩებოდა და დროის სიმცირის გამო გაცუდების უფლება არ ჰქონდა.

რომ არა ხოშტარია, სტუ უეჭველად წააგებდა, რადგან ერთი კალათბურთელიც არ აღმოჩნდა სტუდენტთაგან ისეთი, ქულათა მონაგარი ათისთვის გადაეჭარბებინა. მის ანგარიშზე საბოლოოდ 25 ქულა დაგროვდა და რაოდენ პარადოქსულია, რომ პირველ ტაიმში ხოშტარიამ მხოლოდ 2 ქულა მოინაგრა, ისიც ჯარიმებით. და საერთოდ, პირველი ტაიმი მეორესაგან ისე განსხვავდებოდა, როგორც კათოდი ანოდისგან.

სტუ პირველ ნახევარში მეტად უსუსური ჩანდა. თავად განსაჯეთ, სტუდენტებმა 20 წუთში მხოლოდ 25 ქულა ჩააგდეს და დიდ შესვენებაზე 11-ქულიანი დეფიციტით გავიდნენ. პირველ ათწუთეულში შედარებით თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, ორივე გუნდი დაცვაზე იყო ორიენტირებული და ქიშპობის ველად ხშირ შემთხვევაში ფარქვეშეთს იყენებდნენ. დინამოელი აპმედ მუპე სხვებზე ხშირად გამოდიოდა ასეთ ბრძოლებში გამარჯვებული, ამას არჩილ ქლენტის სამქულიანებიც დაერთო და ლევან მოსეშვილის გუნდის უპირატესობა მცირე შესვენებისთვის ასეთი იყო — 19:13.

მეორე მეოთხედში ნუგზარ ჭეიშვილმა თამაშში ვახტანგ მინაშვილი შეუშვა, რომელმაც მუპე კი გააუვნებლა, მაგრამ ქულებს ვერ იხვეჭდა. შენგელია-მინაშვილმა „დინამოს“ მაღლებს ფარქვეშეთიდან ფეხი ამოაკვეთინეს, მაგრამ, როგორც გამოჩნდა, ლევან მოსეშვილის სამწყსოს ეს სულაც არ ანაღვლებდა. გამოცდილმა მამუკა ტურაშვილმა ძველი დრო გაიხსენა და სტუ-ს ფარს სამქულიანები დაუშინა. მისმა ზუსტმა შორეულმა ტყორცნებმა განსაზღვრა კიდეც პირველი ნახევრის „დინამოსთვის“ სასარგებლო ანგარიში (36:25), თორემ მეფარეებს (ოგანესიანი, მუპე) ხეირიანი არაფერი გაუკეთებიათ.

მეორე ტაიმის დაწყებამ სანუგეშო ვერაფერი დაანახვა ნუგზარ ჭეიშვილს, ტურაშვილმა ექვსმეტრსმიღმიდან კვლავ მიზანში გაარტყა, ოგანესიანმა კი როგორც იქნა, იძალა და „დინამოს“ ყველაზე დიდი საამმატჩო უპირატესობაც დაფიქსირდა — 43:26. ეს იყო და ეს, „დინამომ“ შესაძლებლობები აქ ამოწურა და შემდეგ მისთვის კოშმარი დაიწყო. ამ მომენტისთვის ნუგზარ ჭეიშვილი საბოლოოდ ჩამოყალიბდა სტუ-ს სათამაშო ტაქტიკაში. მან მოედანზე დააბრუნა შესვენებაზე გაყვანილი მინაშვილი-შენგელია და მათ ყრუ დაცვითი თამაში დაავალა. ამ უკანასკნელს კი მიეთითა, თავის ფარს არ მოსცილებოდა. იმიტომაც იყო, რომ „სპილო“ ბოლო მეოთხედის დაწყებამდე მეტოქის საჯარიმოში არც გამოჩენილა, იგი სტუ-ს ზონაში გადაულახავი ბარიერი გახდა ნებისმიერი დინამოელისთვის და ახსლეტილი ბურთების დაუფლებაშიც არ ჰყავდა ბადალი. დაცვა დაცვად, მაგრამ მარტო ეს ანგარიშის გასაბათილებლად, ცხადია, არ იკმარებდა. ამისთვის ჭეიშვილს სწრაფი პირველი შეტევები შეეგულებინა, რაზეც მონოპოლია მანამდე ჩრდილში (უმეტესად რევაზ ჩხეიძის) მყოფმა ირაკლი ხოშტარიამ დაამყარა. სტუდენტებმა მარტივი თამაში არჩიეს — ძლიერი დაცვა და კონტრშეტევა. მათი ეს ტაქტიკა მატჩის ბოლომდე არ შეცვლილა, ისევე როგორც ამ ტაქტიკის მსხვერპლი „დინამოს“ შემადგენლობა (თუ არ ჩავთვლით ბოლო წუთზე წოწელიას შემოყვანას და მანამდელ უმნიშვნელო ცვლილებას, რომელსაც საერთო არ ჰქონდა სტუ-ს მთავარმეტულის შეჩერებასთან).

ზემოთ არაერთხელ ნახსენები 17-ქულიანი უპირატესობის შემდეგ სტუ-ს არჩეულმა სტრატეგიამ ასეთი ნაყოფი გამოიღო: 9-წუთიან მონაკვეთში „დინამომ“ (ჩუბინიძემ) მხოლოდ და მხოლოდ 2 ქულა ჩააგდო, ტექნიკოსებმა კი — 25 და მატჩის დამთავრებამდე რვამდე წუთით ადრე სტუდენტები 51:45 დაწინაურდნენ.

...ხოშტარია შედეგიან შეტევებს აგრძელებდა, მისი ამაოდ მეურვის შემცვლელი (გინდ ჩხეიძე, რომლის მოედანზე ყოფნისას ხოშტარია არავის ახსოვდა და გინდ სხვა) კი არა და არ ჩანდა... სტუ-ს ლიდერმა ერთ ეპიზოდში თვალი იტკინა და 2 წუთით მოედნის დატოვება მოუხდა. ტკივილმა და მსაჯის უყურადღებობამ ხოშტარიას უცენზურო სიტყვები ათქმევინა, რასაც ტექნიკური ჯარიმა მოჰყვა. ტურაშვილმა მიყოლებით 4 ჯარიმა ჩააგდო და „დინამოს“ ლიდერობა დაუბრუნდა — 58:56... სირენამდე ორნახევარი წუთით ადრე მოედანზე დაბრუნებულ ხოშტარიას სტუ კვლავ წინ გაჰყავს და გადამწყვეტი მომენტიც დგება... ბოლო წუთზე არჩილ ქლენტი საჯარიმოებით ანგარიშს ერთ ქულამდე ამცირებს და საპასუხო შეტევაში ხოშტარიაც იგივეს იქმს — 65:63. „დინამოს“ შეტევისთვის 16 წამი აქვს, მაგრამ წინ კვლავ ხოშტარია ეღობება, იგი ბურთს ჩაჭრის და ბაბიაშვილიც დამთავრებამდე 3 წამით ადრე სტუ-ს მეტოქისთვის მიუწვდომელს ხდის...

გადამწყვეტი მატჩი ხვალ გაიმართება სპორტის სასახლეში.



ბრძოლა იყო დიდკაცური: „დინამოს“ არმენ ოგანესიანი და სტუ-ს კახა შენგელია

| | |
|---|---|
| დინამო | 2 |
| სტუ | 2 |

16 მაისი. სპორტის სასახლე

**სტუ 68:63 დინამო**

13:19, 12:17, 20:9, 23:18

სტუ: აბრამიძე (8), ხოშტარია (25), ლოსაბერიძე (3), ბაბიაშვილი (9), შენგელია (9); გაგნიძე (5), სულაძე, მინაშვილი (3), დავითულიანი (6)

დინამო: ქლენტი (16), ჩხეიძე (2), ჩუბინიძე (5), მუპე (7), ოგანესიანი (8); წოწელია, მაისურაძე, ტურაშვილი (25)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

# უგრეხელიძე და ტულუში ჩხუბში და პლეი ოფში
## რა, არ უნდა დამერტყა?!



კოტე ტულუში

**დანარჩენი** ევროპისგან განსხვავებით, სლოვენიაში პლეი ოფი ჯერაც არ დაწყებულა. იქ ტურს ტურზე თამაშობენ, როგორმე დავეწიოთ ევროპას, თორემ სეზონი ძალიან გაგვეწელაო. ამიტომაც ბოლო ერთ კვირაში სამი ტური მოილიეს. მათ შორის ბოლომ ზე და ქვე ოთხეულებს შორის გადაულახავი ბარიერი აღმართა და, ღვთის მადლით, უგრეხელიძე-ტულუშის „სლოვანი“ მათ შორისაა, რომლებიც პლეი ოფში ითამაშებენ.

შარშანდელი ჩემპიონი, ვლადიმერ ბოისას „ოლიმპია“ მთელი სეზონი პირველობდა და რეგულარულ ჩემპიონატსაც პირველ ადგილზე მოილევს. ეს ამბავიც ბოლო ტურში გაცხადდა, როცა ოლიმპიელებმა ცხრილში მეორეადგილოსანი და ამბიციური ნოვო მესტოს „კრკა“ 27 ქულით დაამარცხეს. ბოისამ, როგორც აქამომდელი ბარე 10-ზე მეტი შეხვედრა, სასტარტოში დაიწყო და სტაბილურად ითამაშა. ნოვომესტოელთა განადგურებაში იგი 16 წუთს მონაწილეობდა და 7 ქულით შეეწია თავისიანებს. წინა შეხვედრაში კი ზაგორიელთა სტუმრად 50-ქულიანი გვემისას ვოვამ 19 წუთში 11 ქულა მოინაგრა.

ახლა კი დავუბრუნდეთ „სლოვანს“. ჩვენი თანამემამულეების, დავით უგრეხელიძისა და კოტე ტულუშის „სლოვანმა“ ამ ორი კვირის წინ „ჰელიოსთან“ სტუმრობისას 15 ქულით წააგო. მას მერე „სლოვანმა“ სავინსკის „პოპსს“ მოუგო, შემდეგ კი ლაშკოში „პივოვარნაზე“ იძალა და ოთხეულიც დაიბევა, მაგრამ მოგებულ მატჩებში ჩვენებს არ უთამაშიათ. სლოვენიაში შეხმიანებისას და პლეი ოფში გასვლის მილოცვის შემდეგ კოტე ტულუშს მისი და უგრეხელიძის უთამაშებლობის მიზეზი ვკითხეთ.

— ორი ტურის წინ „ჰელიოსთან“ 15 ქულით წაგებული შეხვედრის შემდეგ განერვიულებულნი გასახდელისკენ რომ მივეშურებოდით, მეტოქე გუნდის ცენტრი ჩვენს ცენტრ დავით უგრეხელიძეს წაეჩხუბა. ამას გაწევ-გამოწევა მოჰყვა და ჰელიოსელთაგან ვილაცამ „უგრეს“ რომ დაარტყა, დიდი ჩხუბი გაჩაღდა, რომელშიც, ცხადია, მეც აქტიურად ვმონაწილეობდი. ჰოდა, სანქციებმაც არ დააყოვნა, დისკვალიფიკაცია მოგვცეს. დათო 5 თამაშს გამოტოვებს, მე — სამს. სლოვენიელთაგან კიდევ ორნი დაისაჯნენ: იევტოვიჩი და კლუბის მენეჯერი. ბუნტისთავი ჰელიოსელები უფრო მძიმედ დატუქსეს, მათგან, მგონი, 5 კალათბურთელია დისკვალიფიცირებული. ამის მიუხედავად, ჩვენმა გუნდმა მაინც მოახერხა ძალთა მობილიზება და გადამწყვეტ შეხვედრაში „პივოვარნასთვის“ მოგება არ გასჭირვებია“...

რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 2 ტური რჩება. „ოლიმპიას“ პირველობა, როგორც ვთქვით, გადაწყვეტილი ამბავია, აი, „სლოვანს“ კი შეუძლია მესამეზე მყოფ „პივოვარნას“ გასწრება, თუმც ასე, ალბათ, არ მოხდება. დროებით უქართველებოდ დარჩენილ ლიუბლიანელებს ქართველიან „ოლიმპიასთან“ და მეორეზე მყოფ „კრკასთან“ დარჩათ სათამაშო, რაც „მელუდეთა“ ჩამოტოვების საქმეს ართულებს. ამიტომაც პლეი ოფის ერთ ნახევარფინალურ წყვილში „ქართული“ გუნდები — „ოლიმპია“ და „სლოვანი“ ითამაშებენ, მეორეში კი მეორე-მესამეზე გასულნი — „კრკა“ და „პივოვარნა“.

**ირაკლი პირტაია**

## სლოვენია

XI ტური

**სლოვანი 106:91 სავინსკი პოპსი**

უგრეხელიძე და ტულუში დისკვალიფიცირებულნი იყვნენ

**ზაგორიე 61:111 ოლიმპია**

ოლიმპია: ველში (6), გოლემაცი (13), ილიევსკი (5), ბოისა (19 წუთი, 11 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი), მილიჩი (12), სუბოტიჩი (15), ზდოვცი (10), ავლოჯობი (4), დალი (4), მუკიჩი (15), ტორომანი (6)

XII ტური

**პივოვარნა 79:84 სლოვანი**

უგრეხელიძე და ტულუში დისკვალიფიცირებულნი იყვნენ

**ოლიმპია 87:61 კრკა**

ოლიმპია: ველში (5), გოლემაცი (6), ილიევსკი (7), ბოისა (17 წუთი, 7 ქულა, 2 მოხსნა), მილიჩი (16), უდრიჰი (12), ზდოვცი (9), ავლოჯობი (6), დალი (6), მუეძინოვიჩი (7), მუკიჩი (4), სუბოტიჩი (2)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 12 | 12 | 0 | +284 | 24 |
| კრკა | 12 | 9 | 3 | +146 | 21 |
| პივოვარნა | 11 | 7 | 4 | +90 | 18 |
| სლოვანი | 12 | 6 | 6 | -7 | 18 |
| ჰელიოსი | 11 | 5 | 6 | -75 | 16 |
| კემოპლასტი | 11 | 4 | 7 | -111 | 15 |
| სავინსკი | 11 | 3 | 8 | -155 | 14 |
| ზაგორიე | 12 | 0 | 12 | -172 | 12 |

NBA PLAYOFFS პლეი ოფი მეორე წრე, ოთხ მოგებამდე

# რაღა დროს დოქტორი ჯეია ახლა ჯერსი ჯეისონზე ჰკიდია



სიმბოლური ეპიზოდი: „ნიუ ჯერსი ნეთსის" ლიდერმა და იმედმა ჯეისონ კიდმა შარლოტელთა ყოჩი ბაირონ დევისი დასცა და იქით რომ „კრაზანებს" ჩაახრჩვინა თავი, აქეთ თავისიანებს აჩუქა უმშვიათესი სიხარული

15 მაისი

**აღმოსავლეთი**

| | |
|---|---|
| ნიუ ჯერსი | 4 |
| შარლოტი | 1 |

**ნიუ ჯერსი 103:95 შარლოტი**

**ნიუ ჯერსი: კიდი (23 ქულა, 13 პასი, 7 მოხსნა, 5 ჩაჭრა), კიტლზი (18), ვან ჰორნი (16), მარტინი (14) შარლოტი: მაშბერნი (14 ქულა, 10 მოხსნა), ნეილონი (14), დევისი (13), ველსი (13), ლინში (11 ქულა, 13 მოხსნა)**

„ნიუ ჯერსი ნეთსმა" აღარ გააჯანჯლა საქმე, „შარლოტი" მეხუთე თამაშშივე დაამარცხა და პლეი ოფიდან გზა დაულოცა, თავად კი არსებობის მანძილზე პირველად გავიდა ნბა-ს პლეი ოფის ნახევარფინალში, იგივე აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში. „ბადეები", ალბათ, აღარ იწუწუნებენ, მეოთხედი საუკუნეა, ნბა-ში ვართ და ბედმა ერთი ნაღდი ბიჭი არ გვაჩუქა, ვინც ცხრილის ფსკერს აგვაგლეჯდაო. ვინძლო წარსულსაც აღარ გაეტირნონ, აქაოდა, ნბა-ში გადმოსვლამდე (1976 წელი) პარალელურ ლიგაში, აბა-ში ბატონები ვიყავით, ხოლო ჩვენს ფალავან ჯულიუს ირვინგს არც აბა-ში და არც ნბა-ში სწორი არა ჰყავდაო. „ნეთსის" სადღეისო ლიდერი ჯეისონ კიდი, ცხადია, დოქტორ ჯეივით დიადი ვერაა, მაგრამ თავის გუნდს ქვევიდან ზევით კარგად ეწევა, აგერ, გარეუბნელებს ნაოცნებარი სიმაღლეებიც დაანახა.

„ძალიან გაგვიმართლა, ეს ბიჭი ჩვენს გვერდით რომ თამაშობს. ერთი წლის წინ ყველას გვეწყინა, როცა „ფინიქსიდან" გადმოსვლის წინ ჯეისონმა ცხვირი აიბზუა, მაგრამ მერე გავუგეთ. მოულოდნელად, დაუკითხავად გაცვალეს სტივენ მარბერიში და გულზე მოხვდა. ჯეისონი გადასარევი ბიჭია. ხედავთ, დღეს ის ჩვენზე ბედნიერია ამ გუნდში — ამბობს მისი თანაგუნდელი და უკანახაზურ დუეტში მეწყვილე კერი კიტლზი — მას ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა და უძვირფასესობას იმსახურებდა. სამწუხაროა, რომ ამ ტიტულის გამოკითხვაში მონაწილეთ ზედაპირული შეხედულება აქვთ კალათბურთზე". აქ კიტლზმა ვერ მოითმინა და სხვადასხვა რანგნ-ჩინის ნიუჯერსელების დარად მანაც გაჰკრა კბილი კალათბურთზე მწერალ ამერიკელ-კანადელ ჟურნალისტებს, რომლებმაც ამ ათიოდ დღის წინ სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ სანანტონიოელი ტიმ დანკანი დაასახელეს და არა სწორედ კიდი.

თავად კიდი ძირითადად დუმს ან სიტყვას ბანზე აგდებს, როცა გამოკითხვის სამართლიანობა-უსამართლობაზე ეკითხებიან. ამბობს, დაე, სხვებმა გაარჩიონ ეს ამბავი, ჩემი საქმე კალათბურთის თამაშიაო და თამაშობს. აგერ, მეორე წრეში „შარლოტის" ოლსტარდაჭაშნიკებულ გამთამაშებელს, ჩაუქ ბაირონ დევისსაც იგივ დღე დააწია, რაც პირველ წრეში ინდიანელ აზალბედა ჯამაალ ტინსლის. შარლოტელ „კრაზანებთან"



შარლოტელი ლი ნეილონი პლეი ოფს სევდიანად დაემშვიდობა

გუშინწინდელ რკენაში კიდმა ერთხელაც ჩაუტარა გაკვეთილი სწრაფ, მოქნილ და, ერთი სიტყვით, მასზე მოსხლეტილ ბაირონს.

სერიის ბოლო თამაში დაძაბულობით და კიდის ჯადო-ფოკუსებით აღსავსე გამოდგა. „შარლოტს" არ სურდა სერიის ასე პროზაულად, 1:4 დასრულება და ამ თამაშის მოსაგებად სტუმრები ლამის საკუთარი ტყავიდან ხტებოდნენ. ისე იყვნენ მომართულნი, კიდს ბაირონ დევისი სათამაშო რიტმიდან რომ არ ამოეგდო, უეჭველად თავისას გაიტანდნენ, მაგრამ თეთრის ბრჭყვიალებაში ჩანთქმული შავი მარგალიტი ბაირონი სანამ საკუთარი თამაშის პოვნას ლამობდა, ამასობაში ექვსი პერსონალური მიიღო და თამაშიდან გაირიყა. ასე ექვსი წუთის შემდეგ ლიდერს მთელი გუნდი მიჰყვა.

მატჩის დამთავრებამდე დაახლოებით ექვსი წუთით ადრე დევისის გავარდნამ მნიშვნელოვნად შეამცირა „კრაზანათა" ისედაც შეზღუდული შეტევი პოტენციალი. ამის მიუხედავად, ისინი მაინც მწარედ ნესტრავდნენ მასპინძლებს და საფინალო სირენამდე ხუთი წუთით ადრე 89:86 იგებდნენ კიდეც. აი, აქ აფეთქდა კიდი. „ნიუ ჯერსის" ლიდერი მანამდე თავად უფრო მადიანად უტევდა, რადგან გეგმაში მეურვე დევისისთვის პერსონალურების „ჩუქება" და მისი გაგდება ჰქონდა. ხოლო როცა ეს უკანასკნელი შეხვედრის გარედან მოშხირალებში გადასვა, „ნეთსის" შეტევათა ორგანიზებაზე გადაერთო. კენიონ მარტინის კენტი საჯარიმოს შემდეგ კიდმა სამქულიან ხაზგარეთ ეულად დატოვა კერი კიტლზი და ამანაც ივარგა. შემდეგ ჯეისონმა ბურთი ჩაჭრა და ტოდ მაკალოფს ჩააგდებინა, „ნიუ ჯერსიც" 92:89 დაწინაურდა. დარჩენილ სამ წუთში „ნეთსმა" იოლად განიმტკიცა უპირატესობა და მალე ყველაფერი დასრულდა.

პლეი ოფის მეორე წრეში მეოთხედ გასულ „შარლოტ ჰორნეთსი" მეოთხედვე გამოვარდა იქიდან და შარლოტელები სამუდამოდ გამოეთხოვნენ უფრო მაღალ საფეხურებს. ეს კლუბი მომავალი სეზონიდან მომცრო ჩრდილოკაროლინური შარლოტიდან შედარებით მოზრდილ ქალაქ ახალ ორლეანში გადასახლდება და „კრაზანებიც" ამ მისისიპისპირა წალკოტქალაქის სახელით გამოვლენ.

**ირაკლი ფირცხალავა**







# ოცი მედალი ალალ-ღარიბი ხალხისგან

**იტალიური** ტურინი ოთხი დღე მასპინძლობდა სამბისტთა ევროპის ჩემპიონატს, რომელშიც ჩვენი სამბისტებიც მონაწილეობდნენ. ისინი ფაქტობრივად მოუმზადებლები, ნასესხები ფულით გაემგზავრნენ ტურნირზე. გაჭირვებისა და აწეწილი მზადების მიუხედავად, ქართველებმა ერთობ რიგიანად იჭიდავეს და სამ ასაკობრივ ჯგუფში სამივე სინჯის 20 მედალი მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ იტალიაში 22 ფალავანი წაიყვანა, აქედან კი მხოლოდ ორი დაურჩა უმედლო.

მედალთა ლომის წილი ჭაბუკებზე და ახალგაზრდებზე მოდის. სამივე ჯგუფის გუნდურ ჩათვლაში ჩვენებმა ტურნირი პრიზიორებში დაასრულეს: ჭაბუკებში მეორეზე, ახალგაზრდებში მესამეზე, დიდებში კი მეორეზე გავიდნენ. ჭაბუკებში კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ თელაველი მალხაზ ავეტიკოვი (75 კგ) და თბილისელი ლევან ჩიკოიძე (81 კგ), ახალგაზრდებში კი თბილისელმა ავთანდილ ცინცაძემ (57 კგ) და ზესტაფონელმა პაატა ნასრაძემ (მძიმე) იჩემპიონეს. სხვათა შორის, პაატა ნასრაძის მწვრთნელი მამამისია, ტარიელი, რომელიც 30 წლის წინ ტურინშივე გამხდარა ევროპის ჩემპიონი. დიდებმა 1 ვერცხლი და 6 ბრინჯაო შემატეს ქართულ ყულაბას.

**ბაჩო სვანიძე**



# ნინომ და ეკამ აზერბაიჯანისთვის ხელი გაშალეს

**აზერბაიჯანის** დედაქალაქმა ქალ ხელბურთელთა „ჩელენჯ ტროფის" მეორე გათამაშებას უმასპინძლა. ევროპის ხელბურთის ფედერაციის მიერ მოფიქრებული ეს ასპარეზობა სუსტ განვითარებად სახელბურთო ქვეყნებს საშუალებას აძლევს, თავიანთი დონის და არა ათი თავით მაღლა მდგომ ბობოლებთან შეჯიბრში გამოცდილებაც შეიძინონ და ოსტატობაც აიმაღლონ.

ექვსნაკრება ტურნირში ქართველმა გოგონებმაც წაიბურთავეს. ჩვენებმა პირველივე შეხვედრაში მოლდოველებს სძლიეს — 28:24, მაგრამ მომდევნო ოთხ მატჩში დამარცხდნენ — ისრაელთან (23:29), ბელგიასთან (15:26), საბერძნეთთან (16:27), აზერბაიჯანთან (15:34).

ჯგუფურად გაჯიბრების შემდეგ დასკვნითი თამაშები შედგა. საქართველოს ნაკრები მეხუთე ადგილისთვის ისევ მოლდოველებს შეება და გამანადგურებელი ანგარიშით აჯობა — 35:18. ბელგიამ ისრაელთან რევანში აიღო (19:18) და მესამე გახდა, მთავარ ფინალში კი მასპინძლები და ბერძნები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. აზერბაიჯანის ნაკრებმა გადამწყვეტი შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო (26:18) და თასს დაეუფლა.

აზერბაიჯანელთა ამბავი ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ მათ ღირსებას ორი ქართველი ხელბურთელი — ნინო წივწივაძე და ეკა ქიქიაშვილი იცავდა. გოგონები ერთი სეზონია, რაც ბაქოს „აბუ"-ში თამაშობენ, ქვეყნის ჩემპიონებიც გახდნენ და იქაური ხელბურთის ბოსებს ისე მოაწონეს თავი, რომ აზერბაიჯანის მოქალაქეობაზე და მათ ნაკრებში თამაშზე დაიყოლიეს. „ჩელენჯ ტროფიში" ორივემ მშვენივრად იასპარეზა და გოლებიც ბლომად გაიტანა, წივწივაძე კი ტურნირის სიმბოლურ ნაკრებშიც დაასახელეს.

**გია ახალაძე**


**იყიდება უნიკალური წიგნები**

ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა" (1885)
და „მზა-მეტყველება" (1892), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია" (1904), პროფესორ ვუნდტის „ადამიანისა და ცხოველთა სული" (ორ ტომად, რუსულ ენაზე, 1865, 1866) და სხვა.
ასევე მოგვიანებით დასტამბული მნიშვნელოვანი გამოცემები.
ტ. 30-75-81



# პირველ-მეორეზე გაითვალეთ!

## ეს იმ ფურისა იყოს, რომელიც არ იწიხლება

**მასტერსის სერია**
ჰამბურგი. თიხნარი
საპრიზო 2,828 მილიონი $

**მეორე წრე**

**ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — ბიორნ ფაუ (გერმანია) 6:3, 6:3; **გუსტავო კუერტენი** (2, ბრაზილია) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:3, 7:6 (7:5); **ადრიან ვოინეა** (რუმინეთი) — ტიმ ჰენმანი (5, ბრიტანეთი) 7:6 (7:5), 2:6, 6:4; **მარატ საფინი** (6, რუსეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:4, 6:2; **ტომი ჰაასი** (7, გერმანია) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 7:5, 6:3; **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) — ტომას იოჰანსონი (8, შვედეთი) 6:4, 6:2; **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — სებასტიან გროჟანი (10, საფრანგეთი) 7:5, 7:5; **როჯერ ფედერერი** (11, შვეიცარია) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:3, 6:0; **ენდი როდიკი** (13, აშშ) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:4, 6:4; **იჟრი ნოვაკი** (14, ჩეხეთი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:2, 6:0; **გილერმო კანასი** (15, არგენტინა) — ფერნანდო გონსალესი (ჩილე) 2:6, 7:6 (7:0), 6:0; **იუნეს ელ აინაუი** (16, მაროკო) — უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) 7:6 (13:11), 6:3; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — კარლოს მოია (ესპანეთი) 7:6 (8:6), 7:6 (7:3)

მაშ ასე: ლეიტონ ჰიუიტმა და გუსტავო კუერტენმა ამ წრეშიც პირველ-მეორეზე გაითვალეს — ოზიმ ტურნირზე საშვით მოხვედრილი არიელი ჭაბუკი ჩაჭრა, ბრაზილიელმა კი რუმინელ ანდრეი პაველთან შეხლისას კიდევ ერთხელ ცხადყო — გუგა ჯადოქმეთიხნარე დაბრუნდა!

ჯერ ოზისა ვთქვათ. მსოფლიოში 138-ე ბიორნ ფაუ, რომელმაც პირველი წრიდან შარშანდელი ჩემპიონი, ესპანელი ალბერტ პორტასი დაიფრინა, ჰიუიტმა პირველივე გათამაშებიდან გაჩხიბა — მოხათქუნე ჩოგანზე გამოიბა და გრძელი და მძლავრი დარტყმებით ხან აქეთ გააქცუნა, ხანაც იქით. ხოლო როცა ბოლო გეიმმაც მოატანა, აილო და გამარჯვებისაც ჩაუბათქუნა.

ანგარიშის მიხედვით, თითქოს გუგას უფრო მძიმე შეხვედრა ჰქონდა — მეორე სეტი ხომ მხოლოდ აიდოსტზე გადატეხა. მაგრამ ეს ერთი შეხედვით. თორემ სხვაფრივ — ხმელმა ბრაზილიელმა ჩვეული სიჩაუქით იბურთავა და თავის თავსაც და სხვებსაც საკმარისი არგუმენტი წარუდგინა საიმისოდ, რათა მისი საამროლანგაროსო პრეტენზიები არცთუ უსაფუძვლოდ შეფასდეს!

შეგახსენებთ — კუერტენმა ადრეთებერვალში ბარძაყის მძიმე ოპერაცია გადაიტანა, კორტს მხოლოდ ორი კვირაა, რაც მოუბრუნდა და პარიზულ სეფეთიხნარზე შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვაც უკვე 12 დღეში უნდა დაიწყოს.

შეძლებს იგი ამის გაკეთებას? არავინ იცის. ის კი ფაქტია, რომ — თუკი თავად გუგას სიტყვებს გავიმეორებთ — პაველთან მან დაბრუნების შემდეგ საუკეთესო მატჩი გამართა.

„ჰო, დღეს მართლაც კარგად ვითამაშე. ასე რომ, კმაყოფილი და ბედნიერი ვარ" — ამბობდა გუგა.

მისი ბედნიერების ფონად უიმური ჰამბურგული ავდარი ნაღდად არ ვარგოდა. თუმცა ისეთებიც საკმაოდ იყვნენ, ვის ნამატჩევ განწყობილებასაც ქარი და ჟინჟლი დასტურ შეეხამა. მაგალითებად ტიმ ჰენმანი (5), ტომას იოჰანსონი (8) და სებასტიან გროჟანიც (10) იკმარებდნენ.

წლევანდელი მეავსტრალიე იოჰანსონი ჯიშად მეთიხნარე გაუჩო მარიანო საბალეტამ წაახდინა, ფრანგს მარდმა ტომი რობრედომ უყელა, ჰენმანს კი საიმკვირაოდ ჩემპიონთა რბოლაში გაპირველების შანსი (იგი ამჟამად მესამეა და ლიდერ იოჰანსონს 34 ქულით ჩამორჩება) რუმინელმა ვოინეამ წაჰგვარა.

სამუშაო კიდევ ბევრი მქონიაო, იძახდა ჰენმანი, შველი კი თუმც იმედგაცრუებულიყო, მაგრამ ამ მარცხს ძალიანაც არ სიურპრიზობდა. საბალეტა ფანტასტიკა მეთიხნარეა, ჩემზე უკეთესად ითამაშა და იმიტომო.

საბალეტას, ვინაც კარიერის ოთხივე ფინალი თიხნარზე გამართა და ამათგან ერთში იმარჯვა კიდეც, მომდევნო მატჩი ბელარუს მაქს მირნისთან უწევს. ეს ის მირნი გახლავთ, პირველი წრიდან თვით პიტ სამპრასს რომ ააბარგებინა, ხოლო სამეორწრეო ორსეტიან განდაგანაში კარლოს მოიაც რომ ჩაჩოგნა.

სულ ბოლოს კი ესაც ვთქვათ:

ამერიკელთა კადნიერმა ყრმაჯილაენდი როდიკმა გერმანელი რაინერ შუტლერი დაიურვა, მარატ საფინი ალბერტო მარტინს გაუსწორდა, ხოლო იჭაური მილეთის მთავართვალავანმა ტომი ჰაასმა ჰოლანდიელ სხენგ შალკენთან მატჩში ისეთი ჯიგრიანი ხათქახუთქი ატეხა, რომ ბევრი დაიმედდა — ჰამბურგული ჯილდო ეგებ დოიჩლანდშივე ჩაიტოვოს!

**იტალიის ღია პირველობა**
რომი. თიხნარი
საპრიზო 1,224 მილიონი

**მეორე წრე**

**კიმ კლაისტერსი** (3, ბელგია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:3, 6:2; **სერენა უილიამსი** (4, აშშ) — რიტა გრანდე (იტალია) 6:0, 6:3; **ჟუსტინ ენენი** (5, ბელგია) — ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) 7:6 (7:5), 6:2; **ელენა დოკიჩი** (6, იუგოსლავია) — ანა სმაშნოვა (ისრაელი) 6:3, 3:6, 6:4; **ამელი მორესმო** (7, საფრანგეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:4, 7:5; **სანდრინ ტესტუ** (8, საფრანგეთი) — იულია ვაკულენკო (უკრაინა) 6:4, 6:4; **სილვია ფარინა ელია** (9, იტალია) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:2, 6:4; **მარი პირსი** (საფრანგეთი) — პატი შნიდერი (13, შვეიცარია) 6:3, 1:6, 6:2; **ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი) — იროდა ტულიაგანოვა (14, უზბეკეთი) 6:2, 3:6, 7:6 (7:2); **დენიზა ხლადკოვა** (ჩეხეთი) - კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 6:4, 3:6, 7:5

განთესილ მეცდრთა ამქარმა ამ დღეს მხოლოდ ორი ქალი მოისაკლისა — ეშხიან უზბეკხათუნ იროდა ტულიაგანოვას (14) კვანტი ნაკვალიფიკაციევმა ესპანელმა ვირხინია რუანო პასკუალმა დაუდო, შვეიცარიელი პატი შნიდერი (13) კი კორტს რომის 1997 წლის ჩემპიონმა, მარი პირსმა გამოთიშა.



ელენა დოკიჩი: უკომენტაროდ

რაც შეეხება დანარჩენ განთესილებს, რაიმე სერიოზულ პრობლემებს ისინი თითქოს არ გადასწყდომიან.

დაუნდობლად გაისარჯა სერენა უილიამსმა, ვინაც ადგილობრივ ლიანგს რიტა გრანდეს ქომაგობა გაუცუდა. იტალიელმა გოგომ თავისი პირველი გეიმის მოგება მატჩის დაწყებიდან მხოლოდ 47-ე წუთზე მოახერხა... სერენა ვერც ლიანგის წინააღმდეგობამ გაბზარა. პირიქით, ეგ კიდევ უფრო მახელებდაო, ნამატჩევს იძახდა.

გაიხედნა იტალიელთა მეორე ფაშატიც — ფრანჩესკა სკიავონემ წინა კვირას ბერლინში ნათარეშალ ჟუსტინ ენენს ჩოგანი მხოლოდ პირველ სეტში შეუბრუნა, მაგრამ ტაიბრეიკზე გატეხილს ნირი წაუხდა და... რომმა მეორე მატრონაც დაიტირა.

მაგრად იჯლიგინა ბომბორა ბელგიელმა გოგომ, კიმ კლაისტერსმაც, ვისაც რუსი ელენა ლიხოვცევას ტრიბუნაზე აშვება სასაცილოდაც არ ეყო. გაილაღა შარშანდელმა ჩემპიონმა, ბარაქიანმა ელენა დოკიჩმაც. ოღონდ ეგ იყო, კერპი და კერკეტი ანა სმაშნოვას გასაიმასქნებლად მას ორზე მეტი სეტი დასჭირდა.

ამ გოგოსთან ყოველთვის ძნელია და ამიტომო, იმართლებდა თავს მერე. წლეულს ერთხელ კი ვძლიე, მაგრამ ჩარლსტონში მაგან დამაჩოქაო, მერე ასეც დასძენდა.

შარშანდელ ფინალში კი, ეგებ ვინმეს დაავიწყდა, დოკიჩმა ამელი მორესმოს მოუგო. ჰოდა, ახლაც, უკეთუ მეოთხედფინალში გასვლა სურს, ისევ მას უნდა ერკინოს. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც ზორბმა ლესბოსელმა გზიდან სიფრიფანა თვისტომი, ნატალი დეში ჩამოიცილა.

თუმცა სანამ მორესმოს შეეყრებოდეს, დოკიჩს რამდენიმე მკვახე სიტყვის მოსმენა მოუწევს. ამ სიტყვებით მას ალბათ ვინუს უილიამსი შეეწევა.

მიზეზი? მიზეზი მარტივია — ნამატჩევ პრესკონფერენციაზე დოკიჩს ტურნირიდან ვინუსის იძულებით ოტებაზე დაეკითხვიან. ამასაც აულია, არ ვამართლებ კი არა და, მაგრადაც ვკიცხავო, აი, ეგრე არაკოლეგიურად უპასუხია. აქაოდა, მისი გასვლის გამო ბადის ზედანახევარში განთესილები (კაპრიატი, სერენა, მორესმო და მე) ერთმანეთს დავჭამთ, ქვემოთ კი მარტო ენენი და კლაისტერსი რჩებიანო. მოკლედ — დატუქსა და რამე.

ერთადერთი, ვინაც დოკიჩთან მეყსეულად გადავება იკისრა, კლაისტერსი იყო — ვინუსს თამაში ჩვენზე ყველაზე მეტად უნდოდა, რადგანაც პირველი ჩოგანი უნდა შეენარჩუნებინაო და, საერთოდაც, ისეთმა ფურმა იწიხლაოს, სხვაზე მეტს რომ იწველებაო.

აი, ეგრე!





კარლოს მოიას სევდის მიზეზი ბელარუსი მაქს მირნი შეიქნა

# ჰინგისის მომავალი საავადმყოფოში გაირკვევა

## მარტინას თურმე ფეხსაცმელი უჭერდა

**მარტინა ჰინგისის** საჩოგბურთო კარიერას სერიოზული საფრთხე ემუქრება. როგორც მისმა ექიმმა, ჰაინც ბულმანმა განაცხადა, მსოფლიოს ოდინდელ მეპირველე გოგოს ამჟამად მარცხენა ფეხის ბარძაყისა და მუხლის საშინელი ტკივილები აწუხებს და ამჟამად ციურიხის ერთ-ერთ საავადმყოფოში ისინჯება.

თუკი ამ დღეებში ჩასატარებელი გამოკვლევების შედეგად ექიმები დაადგენენ, რომ მას სახსრების ანთება აქვს, 21 წლის 5-გზის მესლემტიტულე შვეიცარიელს შეიძლება დიდი სპორტიდან წასვლა მოუხდეს.

„ყველაფერი მხოლოდ გამოწვლილვითი ანალიზის შედეგად გადაწყდება" — თქვა ბულმანმა.

ეს ცნობა მარტინას დედამ, მელანი მოლიტორმაც დაადასტურა. მისი თქმით, მის შვილს პრობლემები „სერჯო ტაკინის" ფირმის ფეხსაცმელებმა შეუქმნა, რასაც იგი 11 წლის ასაკიდან 18 წლამდე ხმარობდა.

შარშან ივნისში ჰინგისმა 40-მილიონიანი სარჩელი შეიტანა სასამართლოში სპორტული სამოსის იტალიელი მწარმოებლის სერჯო ტაკინის წინააღმდეგ, ვისთანაც მას 5-წლიანი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული. ჰინგისი აცხადებდა, რომ ტაკინი მას უხარისხო, თამაშისთვის გამოუსადეგარი პროდუქციით ამარაგებდა და, რომ სწორედ ამის გამო იყო, რამდენიმე ტურნირი დროზე ადრე, ფეხის უჩვეულო ტკივილების გამო რომ დატოვა.

პროცესი ჯერ არ დასრულებულა, მოპასუხე მხარე კი აცხადებს, რომ ჰინგისი მათ გამოლმა ედავება იმის გამო, რომ გალმა, კონტრაქტის დარღვევისთვის გადასახდელი, საჯარიმო თანხა შერჩეს...

გამოკვლევათა შედეგები ცნობილი ალბათ იქითა კვირისთვის იქნება, თუმცა უკვე 10-12 დღეში დასაწყებ როლან გაროსს მარტინა ყველა შემთხვევაში გამოტოვებს. „ერთკვირიანი ვარჯიში ასეთი სერიოზული ტურნირისთვის მოსამზადებლად საკმარისი არაა" — ამბობს მისი მწვრთნელი მარიო ვიდმერი.

**ლევან ძელაურაძე**



მარტინა ჰინგისი ექიმთა განაჩენს ელის

## ძიუდო

### ევროპის ჩემპიონატი მარიბორი

# რევაზიშვილმა ბრინჯაო დაკარგა

**სლოვენიის** ქალაქ მარიბორში, რომელიც დედაქალაქ ლიუბლიანიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს და 100 კილომეტრითაა დაშორებული, გუშინ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო.

ჩვენი არ იყოს, რბილ კლიმატიან სლოვენიაში ახლა გვარიანად ცივა, თუმც ჩვენგან განსხვავებით 3000-იანი „ტაბორ ჰოლი" მოჭიდავეებს დათბილული დახვდათ. ტურნირის პირველ დღეს ტატამზეა 60 და 66-კილოგრამიანები გავიდნენ.

საგარეჯოელმა გიორგი რევაზიშვილმა (66კგ) გუშინვე დაასრულა ტურნირი და მეოთხე ადგილი დაიკავა. არადა, რევაზიშვილმა თავიდან კარგად დაიწყო: ჯერ ჰოლანდიელ ვან დიკს, მერე ბელარუს ალექსანდრ შლიკს მოუგო, თუმც მერე ხელი მოეცარა და ბრინჯაოსთვის განაგრძო ბრძოლა. მესამე ადგილისთვის რუსი ისლამ მაციევი დაუპირისპირდა და ქართველ ფალავანს ბრინჯაო არ დაანება.

მესტიელმა ნესტორ ხერგიანმა (60კგ) თანაგუნდელის დარად საწყისი ორი ბრძოლა მოიგო. თავიდან ქართველმა ბერძენი სიმონიდისი დაალონა, მერე კი სომეხ არმენ ნაზარიანს წაუხდინა ხასიათი. ხერგიანმა გვიან ღამით მედლებისთვის განაგრძო ბრძოლა და ახლა, როცა „სარბიელის" კითხულობთ, ტურნირი უკვე დასრულებული ექნება.

**ბაჩო სვანიძე**

## ველორბოლა

# პანტანი ყეფს, ქარავანი მიდის

## მარიო ჩააფოტოფინიშეს



REUTERS სტრასბურგი

ორ იტალიელს, ენრიკო დეგანოს და თვით მარიო ჩიპოლინის ფინიშთან მოულოდნელმა ავსტრალიელმა რობი მაკიუენმა (მარჯვნივ) მიასწრო

**15 მაისი. მეოთხე ეტაპი**

**ეშ-სურ-ალცეტე — სტრასბური (232 კმ)**

1. რობი მაკიუენი (ავსტრალია, „ლოტო") 5 საათი, 37 წუთი, 13 წამი
2. მარიო ჩიპოლინი (იტალია, „აკვა ე საპონე")
3. ენრიკო დეგანო (იტალია, „პანარია")
4. გრემ ბროუნი (ავსტრალია, „პანარია")
5. ალესანდრო პეტაჩი (იტალია, „ფასა ბორტოლო")

ყველას ერთი დრო

**ჯირო 2002-ის** პირველი და მესამე ეტაპების მომგები ვეტერანი მარიო ჩიპოლინი მეოთხე ეტაპის მოგებასაც ეშურებოდა, მაგრამ ლუქსემბურგული ეშ-სურ-ალცეტედან ფრანგულ სტრასბურამდე გასარბოლი 232 კილომეტრის უკანასკნელ მეტრებზე ღირსეული მოცილე ავსტრალიელი რობი მაკიუენი გამოუჩნდა.

ჩიპოლინის აკვა ე საპონური რაზმი ამ რბოლასაც ბოლომდე მოთავეობდა და ჯოვანი ლომბარდიმ ამჯერადაც უზრუნველყო, რომ სუპერმარიოს საფინიშო პირტოდ საუკეთესო პირობები შექმნოდა. და როცა ყველას ეგონა, რომ 36 წლის განთქმული მეჯირიე თავის 37-ე გამარჯვებას მიითვლიდა, მისი ველოსიპედის წინ მაკიუენისამ ჩაიბზრიალა...

ეს ოზის პირველი საეტაპო ხეირი იყო, მაგრამ პირველი მხოლოდ ჯიროზე, თორემ ისე, მარტო წლეულს მან აქა-იქ კიდევ 11 გადარბენის მოგება მოახერხა.

„დღევანდელ გამარჯვებას ერთგვარ ნუგეშად აღვიქვამ იმ სიმწარისთვის, რაც ორი დღის წინ ვიგემე, როცა სპრინტის დროს ბორბალი დამემტვრა და ქუჩაში გავიშხლართე — პყვებოდა მაკიუენი ნარბოლევს — რბოლის ბოლო კილომეტრზე ჩიპოლინის „ავეკიდე" და, როცა ლომბარდიმ გზა გაუთავისუფლა, უმალვე ავჩქარდი... ისე, არც მეგონა, თუკი ხაზი პირველმა გადავკვეთე, მაგრამ ფოტოფინიშმა ასე აჩვენა და... ჯიროზე ჩიპოლინისთვის მოგებაზე კარგი, აბა, რა უნდა იყოს!".

ჩიპოლინი კი ოდნავ იმედგაცრუებულად გამოიყურებოდა, მაგრამ არც გადამეტებულ თვითგვემას მისცემია. რას იზამ, ყველაფერს ხომ ვერ მოიგებო, ამბობდა. მერე კი გუნდს ემადლიერებოდა და გაწეული შრომისთვის გამორჩევით მარიო შირეას, ფინიშამდე 20 კილომეტრით დაცემულსა და მაინც ბოლომდე ნარბოლებ ბიჭს ასხამდა ხოტბას.

ზხვაფრივ — საერთო ჩათვლას კვლავაც „მაპეის" იტალიელი მრბოლი სტეფანო გარძელი ლიდერობს. საზელოვანი მარკო პანტანი, რომელთან ერთადაც გარძელი ადრე „მერკატონე უნოს" ღირსებას იცავდა, მხოლოდ 55-ე და მევარდისფერმაისურე ნადოსტარს წუთითა და 44 წამით ჩამორჩება.

სხვათა შორის, გუშინ რალაც-რალაცებზე მასაც გაესაუბრნენ და მანაც შანსი არ გაუშვა რათა ყოფილი გუნდი არ გაეკენწლა. „რამდენიმე წლის წინ ისინი ამბობდნენ, რომ საერთო ჩათვლის პირველ ხუთეულში მყოფი უკლებლივ ნადოპინგრები არიან. საინტერესოა, ამბობენ თუ არა ისინი ახლა რამეს გარძელიზე" — რიტორიკულად უკითხავს მას.

მისი ამ განცხადების კომენტირება „მაპეიში" არ ისურვეს. პანტანი ის კაცი არ არის, ვისი ჩმახიც რაიმე რეაგირებას იმსახურებსო...

ქარავანს კი გუშინ უნდა ეუქმა. ხოლო დღეს პირველად დააგემოვნებს სამთო ბილიკებს: ფოსანოდან ლიმონე პიემონტამდე ასაქცევი 150 კილომეტრიანი ტრასა ზღვის დონიდან 1400 მეტრზე გაფინიშდება.

**კარლო გოგოლი**

**საერთო ჩათვლა**

1. სტეფანო გარძელი (იტალია, „მაპეი") 22 საათი, 34 წუთი, 55 წამი
2. ფაბრიციო გვიდი (იტალია, „კოასტი") +9
3. რიკ ვერბრუგე (ბელგია, „ლოტო") +19
4. ხუან კარლოს დომინგესი (ესპანეთი, „ფონაკი") +21
5. მათიას კესლერი (გერმანია, „ტელეკომი") +27

## ჰოკეი

### NHL სტენლის თასი

მეორე წრე, ოთხ მოგებამდე

15 მაისი

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 4 |
| სან ხოსე | 3 |

**კოლორადო 1:0 სან ხოსე 0:0 1:0 0:0 1:0 ფორსბერგი (38)**

# არ ჩამოუვარდა, მაგრამ გავარდა

ნჰლ-ისა და ნბა-ს საპლეიოფო ფორმატი საუკეთესო გუნდის გამოვლენის ჩინებულ საშუალებად ითვლება და სამართლიანადაც. სერია, რომელშიც გუნდები ოთხ მოგებამდე იბრძვიან ანუ მაქსიმუმ 7 თამაშის ჩატარება შეუძლიათ, მართლაც სავსებით საკმარისი უნდა იყოს, მაგრამ კოლორადოსა და სან ხოსეს ბრძოლაში ვერ გაამართლა ამ ლოგიკამ. გაიმარჯვა კოლორადომ, თუმც ერთი სპეციალისტიც ვერ დაამტკიცებს, რომ სან ხოსე მას რაიმეში ჩამოუვარდებოდა. უბრალოდ, რომელიმეს ხომ უნდა მოეგო და ეს იღბლიანი სწორედ დენვერული გუნდი აღმოჩნდა. „ამ სერიამ საუკეთესო გუნდი ვერ გამოავლინა. უბრალოდ, მათ შანსი გამოიყენეს, ჩვენ კი ვერ შევძელით ამის გაკეთება" — თქვა მატჩის შემდეგ სან ხოსეს კაპიტანმა ოუენ ნოლანმა და ვერ ვიტყვით, რომ მან გადაჭარბებით შეაფასა თავისი გუნდის ძალები. ბოლო მატჩიც სწორედ ამ სიტყვების დასტურია. აბსოლუტურად თანაბარ თამაშში მომენტების რაოდენობაც კი დაემთხვა, მათ შორის ასპროცენტიანიც თითო-თითო ჰქონდათ. მე-5 წუთზე კოლორადოს მეკარე პატრიკ რუამ, ზურგზე გაწოლილმა, ვერ დაიმორჩილა შაიბა და იგი უპატრონოდ დარჩა კარის ძელთან. სიტუაციაში ყველაზე სწრაფად ტეემუ სელანე გაერკვა. იგი კარს უკნიდან გასრიალდა და შეეცადა, შაიბა ბადეში გაეგზავნა, მაგრამ რუზინის დისკი ძელმა აისხლიტა. აი, პეტერ ფორსბერგმა კი შეიფერა ბედის საჩუქარი. ალექსეი ტანგეისთან ერთად აღმოჩნდა იგი მეკარის პირისპირ. შვედმა ჩინებული მოძრაობით დააბნია ევგენი ნაბოკოვი და შაიბა ბადეში გააგზავნა. ბოლო წამებზე სან ხოსეს კიდევ ჰქონდა გადარჩენის შანსი, მაგრამ რუამ ივარგა. მართლაც საუცხოო მეკარე, რომელსაც ყველაზე მეტი, თორმეტი მეშვიდე მატჩი ჩაუტარებია კარიერაში, იმავე სელანესა და მაიკ რატიეს ჩინებულად გაუმკლავდა. აი, ასე გავიდა კოლორადო თასის ნახევარფინალში, სადაც მას დეტროიტთან მოუწევს შერკინება.



REUTERS ფორსბერგი

კოლორადოელი გამტანი პეტერ ფორსბერგი და სანხოსელი მეკარე ევგენი ნაბოკოვი კაცურად დაშორდნენ ერთმანეთს

**სამველ ღარიბიანი**

# ვინ არის ვინ, ვინ ვის?

## ნახევარფინალის წინ

### აღმოსავლეთი

**კაროლინა (3) VS ტორონტო (4)**

*პლეი ოფში ერთმანეთს არ შეხვედრიან*
*2001-02 ჩემპიონატი: +2=0-2*

**ლიდერები პლეი ოფში:**

**კაროლინა:** ბეიტს ბატალია (5 გოლი + 8 პასი), როდ ბრინდამორი (3+6), ერიკ კოული (6+3), რონ ფრენსისი (3+6)

**ტორონტო:** გერი რობერტსი (7+10), ალინ მაკოლი (4+10), ალექსანდრ მოგილნი (7+3), ტრევის გრინი (3+6), იონას ჰოგლუნდი (3+6)

ეს წყვილი სავსებით განსხვავებულმა გუნდებმა შეადგინეს.

წარმოიდგინეთ, უდიდესი ტრადიციების მქონე ძველთაძველი გუნდი ტორონტო და კაროლინა, რომლის მშობლიურ ქალაქ როლიში ათიოდე წლის წინ სტუდენტური კალათბურთისა და NASCAR-ის ავტორბოლების მეტი არაფერი ენახათ. თუმც ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კაროლინა განწირულია. „ქარიშხლებს" წინა ორ რაუნდშიც აუტსაიდერებად აღიქვამდნენ, მაგრამ უდიდესი ნებისყოფა და საპლეიოფო გუნდებისთვის ჩვეული სიბრძნე გამოიჩინა და ეს მაშინ, როცა გამოცდილი ჰოკეისტები აკლია. მისმა თავკაცმა პოლ მორისმაც დიდი სიბრძნე გამოავლინა, ექსპერიმენტს მიმართა და გაუმართლა. არტურ ირბე და კევინ უიქსი ლიგის ელიტარული მეკარეები არ არიან, მაგრამ მათი ტანდემი უძლიერესი აღმოჩნდა პლეი ოფში. როგორც კი ერთ მეკარეს არ წაუვიდოდა საქმე კარგად, მორისი მაშინვე მეორეს შეაცურებდა ყინულზე და ამგვარი როქით კაროლინამ თავის ხანმოკლე ისტორიაში საუკეთესო შედეგს მიაღწია — თასის ნახევარფინალში გავიდა და არ არის გამორიცხული, კიდევ უფრო წინ წაიწიოს. საქმე ისაა, რომ მის მეტოქე ტორონტოს სადღეისოდ რამდენიმე წამყვანი ჰოკეისტი აკლია. მართალია, გუნდმა საბრძოლო სულისკვეთება შეინარჩუნა და ზედიზედ ორ სერიაში მე-7 მატჩში იმარჯვა, მაგრამ როდემდე ეყოფა ძალა? არავინ იცის, როდის დაუბრუნდება გუნდს მათს სუნდინი, უფრო მძიმე ტრავმები აქვთ დანარჩენებს.

და მაინც, ტორონტოს ნაღდ ფინალში გასვლის კარგი შანსი აქვს. ოკეანის გაღმა ფიქრობენ, რომ ტორონტომ უკვე აჯობა საკუთარ თავს და ტრავმებს და მისმა განსაკუთრებულმა გამოცდილებამ უნდა გაჭრას.

**ESPN-ის პროგნოზი: 4:2 ტორონტოს სასარგებლოდ.**

### დასავლეთი

**დეტროიტი (1) VS კოლორადო (2)**

*პლეი ოფში ერთმანეთთან 4-ჯერ უთამაშიათ. სამი სერია, მათ შორის ბოლოც (2000) კოლორადომ მოიგო.*
*2001-02: +3=0-1*

**ლიდერები პლეი ოფში:**

**დეტროიტი:** ბრენდან შენაჰანი (4+9), სტივ აიზერმანი (5+8), კრის ჩელიოსი (1+9), სერგეი ფიოდოროვი (2+7), ბრეტ ჰალი (5+4), ნიკლას ლიდსტრომი (3+5)

**კოლორადო:** პეტერ ფორსბერგი (7+12), ჯო საკიკი (7+7), ალექს ტანგეი (3+7), გრეგ დეგრიზი (3+7), კრის დრური (3+6), რობ ბლეიკი (5+3), სტივ რაინფრეხტი (5+3)

პლეი ოფის თანმხლები სიურპრიზების მიუხედავად, მიუხედავად იმ სიურპრიზებისა, რომელნიც ამ პლეი ოფს ახლდა, დასავლურმა ფინალმა მაინც უძლიერესი და ღირსეული წყვილი შეჰყარა. დეტროიტი — კოლორადოს წინააღმდეგ, დიდი დაპირისპირება, რომელიც 90-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო და სულ უფრო და უფრო საინტერესო ხდება. ორჯერ, 1996 და 97 წლებში სწორედ ეს დუელი წყვეტდა თასის ბედს და, როგორც ვარაუდობენ, ამჯერადაც პლეი ოფის გამარჯვებული სწორედ ამ ორს შორის რჩეული იქნება.

სადღეისოდ დეტროიტის კოზირი კოლორადოს გადაღლილობაა. „სასიამოვნო იყო შინ ჯდომა და იმის ყურება, როგორ იტანჯებოდა კოლორადო სან ხოსესთან სერიაში" — გულახდილი გახლდათ დეტროიტელი დერენ მაკარტი. მოგეხსენებათ, კოლორადომ ლოს ანჯელესთან სერიაშიც იწვალა და ამ გარემოებამ ლამის დალუპა „ზვავები" სან ხოსესთან ჭიდილში. დეტროიტი სან ხოსეზე გაცილებით გამოცდილი გუნდია და უდავოდ შეეცდება, პირველ ორ მატჩში, მის ყინულზე რომ გაიმართება, მაქსიმალური ზიანი მიაყენოს მეტოქეს. ისიც ხათქმელია, რომ წლეულს დეტროიტმა თავისი მთავარი სამეკარეო პრობლემა გადაწყვიტა. პირველმა ორმა რაუნდმა დაამტკიცა, რომ დომინიკ ჰაშეკი სწორედ ის კაცია, რომელიც სჭირდებოდათ სამ სეზონში დამუხრუჭებულ ავტოქალაქელებს. თან დეტროიტის სხვა ბევრი ლიდერებიც ოპტიმალურ ფორმაში შეხვდნენ პლეი ოფს. ამიტომაც, როგორც ერთ-ერთი იქაური ჟურნალისტიც ამბობს, „წითელფრთიანები" ძალიან საშიშ გუნდად იქცნენ. მათ იციან, როგორ დაიბრიყვონ მეტოქე.

ისე, დეტროიტს არც ის ავიწყდება, რომ ამ გუნდების ოთხი საპლეიოფო სერიიდან სამი კოლორადოს სასარგებლოდ დასრულდა. პატრიკ რუა უფროა ნჰლ-ურ ბატალიებში გამოცდილი. მართალია, რეგულარულ ჩემპიონატში კოლორადო არ ბრწყინავდა, მაგრამ ეს ფორსბერგის ტრავმით აიხსნება, ხოლო თუ რამდენად მნიშვნელოვანი ფიგურაა თუნდაც უმძიმესი ტრავმის შემდეგ დაბრუნებული პეტერი, ამაზე თასის ბომბარდირთა სიაში მისი ლიდერობაც მეტყველებს.

ასეა თუ ისე, დიდი ბრძოლა იქნება. მაკარტის თქმისა არ იყოს, უთასოდ დასრულებული სეზონი ორივე გუნდს ხომ წარუმატებლად ჩაეთვლება.

**ESPN-ის პროგნოზი: 4:3 დეტროიტის სასარგებლოდ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკვდავყოფა


REUTERS შენიანიდან

მსოფლიოს ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა და ჩინეთი კი რაზანია ზეიმობს თავისი საფეხბურთო ნაკრების ისტორიაში პირველ გასვლას ფინალურ ეტაპზე. ეგებ ბევრმა არც იცოდეს და, შესარჩევი ტურნირის საშინაო თამაშებს ნაკრები ქვეყნის ჩრდილოაღმოსავლეთით, ლიაონინგის პროვინციის ქალაქ შენიანში მართავდა. აწ ჩინელთათვის ლეგენდარულ „ვულიჰეს" სტადიონზე ამ მოვლენის უკვდავმყოფი გიგანტური ძეგლი იხსნება. სამხედრო ორკესტრი კი სწორედ ამ ამბისთვის ემზადება.


REUTERS ტაიტიდან

# ტალღებში

ტალღებში მოქცეული მოსერფინგე კარი ლოპესი წყალში ჩასავარდნად გახაზირებული არ გეგონოთ — ფოტოობიექტივი იტყუება ხოლმე. ბილაბონგის ტურნირზე, ტაიტის ნაპირ ტიჰუპოზე შეკრებილი მოსერფენი წყალში არ ცვივიან. აი, ლოპესიც წლევანდელი შედეგით მსოფლიოში მესამეა, ბილაბონგის ტურნირის საპრიზო ფონდი კი 250 ათასი დოლარია.



# ისევ მონაკოდან




გუშინ გამცნეთ, რომ მონაკოში წლის სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა და ზოგიერთი დაჯილდოებულის ფოტოც შემოგთავაზეთ. ეს სამი წლის წინათ დამკვიდრებული ღონისძიება ახლა დიდი პოპულარობით სარგებლობს და ცერემონიალზე ბევრი განთქმული სპორტსმენი იყრის ხოლმე თავს. ბორის ბეკერს თავისი ახალი გელფრენდი, პატრიცია ფარამე მოუყვანია. ყოფილი კალათბურთელი ჯონ სელი კი გერმანელ მოდელ ჰაიდი კლუმთან ერთად ოხუნჯობს.


REUTERS ბალტიმორიდან

# ომის ნიშანი

ამ დღეებში პრეკნეს სტეიკსის სამმაგი გვირგვინის რბოლა გაიმართება. ამისთვის ბალტიმორში ჩამოუყვანიათ კენტაკის დერბის მომგები ცხენი „ვორ ემბლემი", ანუ ომის ნიშანი, რომელიც ეს წუთია სატვირთოდან გადმოუყვანიათ და ახლა ფეხებდათბილულს მწვრთნელი რობერტო ლუნა ასეირნებს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge